# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 ივნისი, 2009 წელი.

№ 117 (6218)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

აი, კანონმდებლები!

# ვაშა პარლამენტს, „ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!“



„სირცხვილის დროშები“ – პარლამენტართათვის

2



„დროშებიდან“ – ქუჩაში

---

რევაზ საყევარიშვილი:



4

## წლის მეორე ნახევარი პირველზე უფრო მძიმე იქნება?

---

## პარტიული ჰეგემონიის თავიდან აცილების გზა



3

---





2

## ორი ბანი თუ საქართველო?

---

## ამდენი დაბოლება და ტყუილი გაგონილა?

პრეზიდენტი თურმე იმათაც არ ნაყვარებათ, „მიშა მაგარიაო“ რომ იძახიან?!



5

---

## ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**გიგი წერეთელი** (პარლამენტის ვიცე-სპიკერი):

– ახალი კონსტიტუციის პროცესში ვისაც ჩართვა უნდა, ჩაერთვება, ვისაც არა, ყურით ვერ მოვათრევთ.

**დავით დარჩიაშვილი** (საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე):

– თუკი ჩვენს ოპოზიციას საკონსტიტუციო პროცესში ჩართვა არ სურს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

**კახა კაციტაძე** („ალიანსი საქართველოსთვის“):

– ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების რუკაზე ლაქად გაჩნდა 10 ივნისის მთავრობის სხდომა. უბედურ დღეში იყვნენ მინისტრები... კიდეც უქნევდნენ თავს სააკაშვილს და ვერც უქნევდნენ, რაც კუდის ქნევას უფრო ჰგავდა.

---



7

## სამშობლოს ყველგან გულით ვატარებ...

ⓞ აი, კანონმდებლები!

# ვაშა პარლამენტს, „ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!“

**გუშინ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. მისი მოწვევა როგორც ოპოზიციისთვის, ისე თვით პარლამენტართა უმრავლესობისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან კანონმდებელთა გარკვეულ ნაწილს პარლამენტის აპარატმა ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ არ მიაწოდა.**

**სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა 96(!)ძ საკითხი განიხილეს, დანარჩენი კი შემდგომი სხდომისთვის (რომელიც, იმედია იატაკქვეშეთში არ გაიმართებაძ გადადეს.**

სხდომაზე დაამტკიცეს რიგითი პროექტები, მათ შორის საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდა საქართველოს დსთ-დან გამოსვლა. პირველი მოსმენით განიხილეს „პატიმრობის შესახებ“ კანონპროექტი. დეპუტატთა განცხადებით, ეს პირველი პროექტია, რომელსაც ისინი „რევოლუციურ პროექტად“ აფასებენ.

როდის გაიმართება პარლამენტის მომდევნო სხდომა, ეს მხოლოდ დავით ბაქრაძემ იცის, ან აწგანსვენებულ ვანგას წინასწარმეტყველებებში შეიძლება ვიხილოთ.

სხვათა შორის, სხდომის დასრულების შემდეგ დავით ბაქრაძეს „სირცხვილის დერეფანში“ მოუწია გასვლა. მის მანქანას მომიტინგეები ზუბალაშვილების ქუჩამდე გაეკიდნენ და ის სტვენითა და კვერცხების სროლით გააცილეს. ახალგაზრდული მოძრაობა „რატომ“-ის წევრებმა პარლამენტის ე. წ. ბუფეტის ფანჯრებთან სკანდირება მოაწყვეს და „შრომისაგან გადაღლილ“ პარლამენტარებს სადილი ჩაუშალეს.

არც პოლიცია ყოფილა გულხელდაკრეფილი და სამასამდე კუნთმაგარმა პარლამენტართდამცველმა აქციის მონაწილეებს ცემატყეპა გაუმართა. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციის ყველა ლიდერი შეიკრიბა.

...როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომის გახსნისას განაცხადა, რიგგარეშე სხდომა პრეზიდენტის ბრძანებით იქნა მოწვეული. ოპოზიციის ლიდერთა აზრით კი ეს საგანგებო სხდომა პრეზიდენტის მორიგი პროვოკაციაა, რადგან ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ პარლამენტში სესიის დაწყება პროტესტის ახალი ტალღის აგორებას გამოიწვევდა, პრეზიდენტი კი სპეციალურად წავიდა სიტუაციის გამწვავებაზე.



**ავთანდილ ბექაური**

ⓞ ერიჰა!

# ორი ბატი თუ საქართველო“?

## ანუ რით და რატომ სჯობს ძველრომაული ბატი თავის თანამედროვე ქართულ ანალოგს

**ნამდვილად ვერ ვიტყვი, რას იტყოდნენ ამ „საქმეზე“ გლებ ჟიგლოვი, ერკიულ პუარო, შერლოკ ჰოლმსი, ან თუნდაც გამომძიებელი ქალი შორენა, მაგრამ 2009 წლის 11 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან განთავსებული სცენის წინ (სპეციალურად არ ვამბობ სიტყვას „ტრიბუნა“ძ, ერთი ძალიან უცნაური ფაქტი მოხდა – როგორც თვითმხილველებმა აღნიშნეს, დილის 6 საათზე სამმა დაუდგენელმა ახალგაზრდა მამაკაცმა № 133 საკანი, რომელშიც სიმბოლურად იყო განთავსებული „ქუჩის გაზეთი“-„შანსი“... მოიპარა.**

მე პირადად სრული პასუხისმგებლობით, ალალად და სუფთა გულით ვაცხადებ, რომ ღმერთმა შეარგოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ღმერთმა შეარგოთ ის ფული, რომელიც მისი ჯართში ჩაბარების შემდეგ, ან „სპეცდავალების“ შესრულებაში მიიღეს.

ამას ვაცხადებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ თავიანთი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. შეასრულეს და ეკუთვნით კიდეც ჩემი აღფრთოვანება. ძალიან გთხოვთ, არ მკითხოთ – რა გიხარიაო.

ნამდვილად არ მიხარია, მაგრამ იმ ბიჭების მადლობელი ვარ, რადგანაც ერთ საგულისხმო საკითხზე ჩამაფიქრეს. გაგეცინებათ და, ეს საკითხი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი, ორი ბატია. ის ორი ბატი, რომელთა ვიღაც-ვიღაცებისთვის ნდობა-არნდობის პრობლემა (საქართველოზე რომ არ ვილაპარაკოძ, უცებ წამოიჭრა ჩემს წინაშე.

გასაგებია, რომ „აზრთა დიადი ჭიდილის“ დროს ერთ გალღეტილ საკანზე ლაპარაკი შეიძლება? მაგრამ სულო ცოდვილო, ერთი შეხედვით არც ისე „ღირსშესანიშნავი“ ამბავი გამახსენდა, როდესაც სცენასთან (კვლავ პრინციპულად არ ვამბობ სიტყვას „ტრიბუნა“ძ საეჭვო სახით მოტრიალე ერთ ახალგაზრდა მამაკაცს (ისეთს, რომელიც „ოპოზიციის“ გამარჯვების შემთხვევაში, სულ ცოტა რომელიმე რაიონის გამგებელი, თუ არა, პირველი მოადგილე რომ მაინც იქნებაძ, წყალი ვთხოვე. მან უკვე „გამგებლური სახით“ ამხედ-დამხედა (ცხადია, ჩემში ვერცერთი პარტიის „ლიდერი“ ვერ „ამოიცნო“ძ და „გამგებლის მოადგილური ხმით“ მითხრა – აქ 100 000 მოქალაქეა ყველას წყალს ვერ დავალევინებო.

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მაშინ კიდევ რაღაცის იმედი მქონდა და იმიტომაც ვუთხარი: ბიჭო (ეჰ, ალბათ დამიმახსოვრებსძ, შენ ახლა არ მასმევ წყალს და თანამდებობის პირი რომ გახდები, ალბათ „ტრუბასაც“ გადამიჭრი და ჯართში ჩააბარებ-მეთქი.

კარგით, ამას თავი დავანებოთ და იმ რამდენიმე უმარტივეს საკითხს შევეხოთ, რაც წესით „ლიდერებმა“ მაგრად უნდა „გამოიყენონ“ (პიარის თვალსაზრისით ვამბობძ.

მოიპარეს საკანი! არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მის კედელზე „რედაქცია“ ეწერა, თუ „შენ მეისკე, მიშა“.

ადექი და დააბრალე შსს-ს, პროკურატურას, „ზონდერებს“, ალ კაპონეს, კამორას, პუტინს, უგო სანჩესს, რონალდინიოს, რავიცი, განა ცოტაა, ვისაც შეიძლება დააბრალო, და რიხიანად დასჭექე – აი, კიდევ ერთი გალაშქრება აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, გამომცემლობა „სამშობლოდან“ ხომ გამოყარეს, საკნებშიც არ ასვენებენ ჟურნალისტებს ეს უსინდისოებიო (თუ გინდა შიგადაშიგ „თავისუფალი სიტყვაც“ ახსენეძ, ან „საკნების ოპტიმიზაცია“ მაინც თქვი და სანამ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში „საკნების ოპტიმიზაციას“ ვიპოვით, მანამდე ან მიშა გადადგება, ან დანარჩენ საკნებსაც მოიპარავენ.

ისე, სხვა თუ არაფერი, იმ საკანში წვიმის დროს, „ლიდერების“ მომლოდინე ხალხი თავს შეაფარებდა ხოლმე.




კიდევ კარგი, ბატები რომ არ იყვნენ იქ.

**ისე, ცნობისთვის: ბატებმა რომი გადაარჩინეს, ჩვენმა „ბატებმა“ კი საკანიც ვერ შეინარჩუნეს.**

**გია გაბრიჭიძე**

ⓞ ბრიფინგი

# სამეურვეო საბჭოს ირჩევენ სკოლებში თუ „პოლიტკომისრებს“ ნიშნავენ?

**ხვალ საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნები ჩატარდება. სკოლის მენეჯმენტი და სტრატეგია სწორედ საბჭოს გადაწყვეტილებით იგეგმება და წარიმართება ხოლმე და, ამდენად, ამ ორგანოს არჩევნებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება.**

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი გამართეს ლეიბორისტებმა. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ – საბჭოში ასარჩევ პედაგოგებს „პოლიტიკური კომისრები“ უწოდა. „სამეურვეო საბჭოები განათლების სამინისტროსთვის მისაღები პედაგოგებით დაკომპლექტდება, – აღნიშნა გუგავამ, – რათა შემდეგში მათ ნაცმოძრაობისთვის მისაღები პოლიტიკა გაატარონ. ისინი გააკონტროლებენ როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებსა და მის მშობლებსაც“.

გიორგი გუგავა ამტკიცებს, რომ მათი ინფორმაციით მოსწავლეებს მშობლების პირადობის მოწმობებს სთხოვენ, რათა წინასწარ აიღონ სტარტი და არჩევნების გასაყალბებლად მოემზადონ, მით უმეტეს, რომ არჩევნები ძირითადად სკოლის შენობებში ტარდება ხოლმე და საარჩევნო კომისიებშიც პედაგოგები ინიშნებიან. ეს მასწავლებლები აქედანვე გააკონტროლებენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რათა თავში არ გაივლონ არჩევნებზე ნაცმოძრაობის ღალატი, – ამბობს ლეიბორისტი.

სამეურვეო საბჭოების არჩევ-




ნებს განათლების სამინისტროდან დანიშნული კოორდინატორები დააკვირდებიან, ხოლო სკოლის დირექტორები ისედაც თეა თუთბერიძის დანიშნულია, – აცხადებს გუგავა.

რადგან არჩევნებზე სკოლის ადმინისტრაციის წევრები გვევლინებიან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებად, „პოლიტკომისრების“ დანიშვნა ნიშნავს, რომ აქედანვე ემზადებიან არჩევნებისთვის. ხოლო რადგან მოსწავლეებს მშობლების პირადობის მოწმობებს სთხოვენ, ეს ამის უტყუარი დასტურია. მთლიანად საქართველოში 600 ათასი ბავშვი სწავლობს, ხოლო თუ მათ მშობლებს გავითვალისწინებთ, დაახლოებით მილიონი ადამიანის სია უკვე გამზადებული ექნებათ. როცა ამ სქემას კარგად მოამზადებენ, შემდეგ არჩევნებსაც დანიშნავენ. ისევ გააყალბებენ და გვეტყვიან, ჩავატარეთ დემოკრატიული არჩევნები, თქვენ კი რას დაგიღიათ პირი და რას დაყიალობთ ქუჩაშიო, – თავის ნათქვამ ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარება ლეიბორისტების პოლიტიკურ მდივანს.

როგორც ყოველთვის, ლეიბორისტების ბრიფინგზე გახმიანებულ ბრალდებას ან ყურადღებას არ აქცევენ, ან უარყოფენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

ბრიფინგთან დაკავშირებით სამინისტროს პრესცენტრის რიგითმა წევრებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს და სხვა კომპეტენტურ პირთან მარიკა გერსამიასთან გადაგვამისამართეს, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენს ზარს არ უპასუხა.

**თეა მოსია**

ⓞ ინფორმაცია

## პრეზიდენტი რთველისთვის ემზადება

**2009 წლის რთველის წარმატებით ჩასატარებლად პრეზიდენტის ინიციატივა გურჯაანის რაიონში მეღვინეებსა და მევენახეებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა და აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ არჩილ გეგენავამ გააცნეს.**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ინიციატივა ბიუჯეტიდან 24.7 მლნ ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. 2008 წელს რთველისთვის ბიუჯეტიდან 12 მლნ ლარი გამოიყო.**

## შეუერთდება სოხუმი ჟენევის კონსულტაციებს?

**სოხუმის მარიონეტული რეჟიმი, შესაძლოა, კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებს დაუბრუნდეს.**

**როგორც საინფორმაციო სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ სოხუმის რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ე.წ. პარლამენტისადმი ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა.**

**თუმცა, ბაღაფშის თქმით, სოხუმი კონსულტაციებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ დისკუსიები არ გაჭიანურდება.**

**მისივე თქმით, სოხუმი ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას არ ენდობა. ამასთან, ბაღაფში აცხადებს, რომ აფხაზური მხარე თანახმაა, ევროკავშირის დამკვირვებლებმა ხუთმხრივ შეხვედრებში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც გაეროს მისიის ახალი მანდატის განსაზღვრის შემდეგ, ივნისში უნდა დაიწყოს.**

**ჟენევაში საერთაშორისო კონსულტაციების ბოლო რაუნდი 18-19 მაისს გაიმართა. 18 მაისის სხდომა რუსეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის დელეგაციებმა პროტესის ნიშნად დატოვეს, აფხაზურმა მხარემ კი დასწრებაზე უარი გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშის დაგვიანების გამო თქვა. თუმცა, ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ სხდომაზე 19 მაისს მაინც დაბრუნდა.**

**მორიგი რაუნდი პირველი ივლისისთვის არის დანიშნული.**

ინტერპრესნიუსი

ვარაუდი

# პარტიული ჰეგემონიის თავიდან აცილების გზა

**პირადად მე ძლიერი ხელისუფალის მომხრე ვარ (ყოველ შემთხვევაში, ვიყავი ახლო წარსულში), მნიშვნელობა არა აქვს პრეზიდენტი ერქმევა მას თუ სხვა სახელი, მთავარია:**

**1. იყოს ნორმალური (ფიზიკურად, ფსიქიურად!), დროის შესაფერი განათლებით** (არ არის აუცილებელი 4-5 უცხო ენის ცოდნა, ერთი-ორიც საკმარისია), **გაწონასწორებული** (იცოდეს სიტყვის ფასი);

2. იყოს **პატრიოტი** (სამშობლოს და ხალხის მოყვარულიც და, **მაშასადამე, სამართლიანიც, პატიოსანი;**

3. იყოს **უშიშარი** (არავითარი შანტაჟი და მუქარა მასზე არ ჭრიდეს);

4. იყოს ცხოვრებისეული **გამოცდილების მქონე,** ანუ არანაკლებ 45 წლისა (მართალია, ხშირად მეფეები საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში იწყებდნენ სახელმწიფოს მართვას, მაგრამ მათ, როგორც წესი, გვერდში ედგნენ უაღრესად გამოცდილი მრჩევლები და ნაზირ-ვეზირები, და არა 25-30 წლის მინისტრი ბიჭ-ბუჭები თუ სხვა მოხელეები!).

ვინ დამაჯერებს, რომ საქართველოში გამოცდილი, პატრიოტი და თან უშიშარი კაცი (ქალიც დაილია?! ვიმეორებ, ვარსკვლავების წყვეტას არავინ ითხოვს და არც არის საჭირო, მხოლოდ და მხოლოდ ნორმალური ადამიანი გვჭირდება, რომელიც პირადულზე წინ ქვეყნის ინტერესებს დააყენებს. ასეთები ნამდვილად მრავლად არიან, მაგრამ ფაქტია, ხელისუფლებაში სხვა თვისებებით შემკულები მოდიან უხშირესად.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების მქონე ერის წინამძღოლი თავის ირგვლივ აუცილებლად თავისნაირების და უკეთესების შემოკრებას შეეცდება, ზოგიერთებივით მას არ შეაშინებს ასპარეზზე ჭკვიანი ხალხის გამოჩენა, პირიქით, იგი თავად იქნება მათი დაწინაურების ხელშემწყობი და დამფასებელი, რადგანაც ასეთი ადამიანები მას გაუადვილებენ ქვეყნის მართვას და განვითარებას, სახელის მოხვეჭასაც და ხალხის სიყვარულსაც. მეტი რა უნდა უნდოდეს საღად მოაზროვნე მოკვდავ ადამიანს? ნორმალური კაცი ხომ სიკვდილს ამჯობინებს უცხოეთის ბანკებში გადამალულ მილიონებს, თუ საკუთარმა ერმა და ეკლესიამ ის და მისი ოჯახი დაწყევლა-შეაჩვენა, და თუ მას სამუდამოდ ამოეკვეთა ფეხი მამა-პაპის მიწაზე!

სამწუხაროდ, ამ აუცილებელი თვისებების მქონე ხელისუფალი არ გვეღირსა, დიდწილად ჩვენი გულუბრყვილობის, გაუტანლობის და ბინძური პოლიტიკის (დიდი პოლიტიკის!) კულისებში ჩაუხედაობის გამო; მოცდის და ახალი ექსპერიმენტების დრო კი ნამდვილად აღარ გვაქვს.

ამ ცხრაკლიტულით ჩარაზულ გასაიდუმლოებულ კულისებში (თუ ორგანიზაციებში) არც დღეს ჩაგვახედებს ვინმე და ამიტომ, ძალიან ადვილი დასაშვებია, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც საააკაშვილი-2 შემოგვატყუონ ტექნიკურად! თავს ნურავინ დაიმშვიდებს და ნუ იტყვის: აჰ, ეს არ მოხდება, რადგანაც არჩევნებს არავის არ გავაყალბებინებთო. სამწუხაროდ, ასეთი რამეები გაუყალბებლადაც ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირველი ვადით ირჩევენ ხოლმე ვინმეს, სანამ იგი თავის ჭეშმარიტ სახეს გამოაჩენდეს.

ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ თეორიული მსჯელობა რომ არ არის, ამაში უკვე სამჯერ დავრწმუნდით — მიუხედავად თითქმის ურთიერთგამომრიცხავი, საპირისპირო შეხედულებების და პარტიული კუთვნილებისა, სამივე პრეზიდენტი ხელისუფლებაში თითქმის ერთნაირი მხარდაჭერით, არაგაყალბებული(!) ხმების 80-90 პროცენტით მოვიდა: ასე გაიმარჯვა საბჭოთა ციხეებგამოვლილმა, ქართული ტრადიციების მატარებელი კლასიკოსი მწერლის ოჯახში აღზრდილმა, ეროვნული მოძრაობის ლიდერმა, 50 წლის გამსახურდიამ; საბჭოთა ცეკა, „მვდ“, „მიდ“ სკოლებგამოვლილმა, 50 წლის განმავლობაში კრემლის სამსახურში მყოფმა, ინტრიგული ხლართების გაბმის ოსტატობის (და არა დიპლომატიური გამჭრიახობის) გამო „თეთრ მელად“ წოდებულმა, 65 წლის შევარდნაძემ და პროფესორების ოჯახში დაბადებულმა, მაგრამ 17 წლის ასაკიდან ქართულ ნიადაგს მოწყვეტილმა, უკრაინა-ევროპა-ამერიკაში განათლებამიღებულმა, ე.წ. „დასავლურ ღირებულებებს“ ნაზიარებმა, „დემოკრატმა“, 35 წლის სააკაშვილმა.



მართალია, უახლოეს არჩევნებში საშიშროება იმისა, რომ რომელიმე პარტია „ნაცების“ მსგავსად 80 პროცენტს მოაგროვებს, არ გვემუქრება, მაგრამ არავინ იცის, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ასეთი საშიშროების თავიდან ასაცილებლად მხოლოდ პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა საკმარისი ვერ იქნება უბრალო მიზეზის გამო. დავუშვათ და, დღეს თუ არა ხვალ, ისევ მოვტყუვდით, ავირჩიეთ ფერ-უმარილით გალამაზებული ანუ კარგად „გაპიარებული“ საააკაშვილი-2 და მისმა, ასე ვთქვათ, ნაცმოძრაობა-2-მა არა გაყალბება-დაშინებებით, არამედ ტვინის გამორეცხვებით პარლამენტში კვლავ 80 პროცენტი ადგილებისა დაიკავა.

თუნდაც ახალი პრეზიდენტი ერთპიროვნულად ვერაფერს წყვეტდეს, სურათს მაინც ტყუპისცალივით დღევანდელის მსგავსს მივიღებთ. ეს კაცი, ანუ უფლებებშეკვეცილი საააკაშვილი-2 , 80 პროცენტი თანაგუნდელი დეპუტატების წყალობით, პრაქტიკულად, ისეთივე ყოვლისშემძლე იქნება, როგორიც დღეს არის საააკაშვილი-1!

ცუდის შესაძლებლობა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ამგვარი გადახრებისგან, ანუ ყოვლისშემძლე **ერთპარტიული პარლამენტისგან თავი შესაბამისი კანონმდებლობით უნდა დავიზღვიოთ.**

იხ. 4 გვ.

რეაქცია

# სამედიცინო სექტორს მზრუნველი ხელი აკლია!

## „ხალხის პარტია“ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გასხვისებას აპროტესტებს

***საქართველოში სახელმწიფო ქონების რეგულარული გასხვისება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ეს ეხება სამედიცინო სფეროს დაწესებულებებსაც და დაპირებული ასი უმაღლესი სტანდარტის საავადმყოფოს აშენების ნაცვლად იმ ობიექტებსაც ყიდიან, რომლებიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაა.***

***ამ საკითხზე გამართა გუშინ „ხალხის პარტიამ“ პრესკონფერენცია და ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გასხვისება გააპროტესტა.***

**ქეთევან გეჯაძე, „ხალხის პარტიის“ წევრი:** — საქართველოს ხელისუფლებამ მიზანმიმართულად შეიმუშავა სამედიცინო სექტორის დარბევისა და განადგურების გეგმა. დღეს ისევ ონკოლოგიური საავადმყოფოს თაობაზე მოგახსენებთ. ჯერ იყო და, პრეზიდენტის №532 განკარგულებით ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს აპარატურას ართმევდნენ და ახლად შექმნილ ნეიროქირურგიის ცენტრს გადასცემდნენ, რის გამოც ჩვენ სასარჩელო განცხადება ქალაქის სასამართლოში გვაქვს შეტანილი. მოვითხოვთ, რომ ოფიციალურად დაუბრუნდეს ეს აპარატურა ონკოლოგიის ცენტრს...



წერილობითი სახით მივმართეთ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომ შეეწყვიტათ ონკოლოგიის ცენტრის, ჰიგიენის ინსტიტუტისა და სხვა სამედიცინო ობიექტების გაყიდვა, რადგან მათი ასეთი ქმედება იწვევს სამედიცინო სექტორის რღვევას, სკოლების ნგრევას, მკურნალობაზე ფასების კატასტროფულად მატებას და მომავალში კი ექიმების, როგორც სპეციალისტების არყოლას. „ხალხის პარტიას“ მიაჩნია, რომ ინკოლოგიის ნაციონალური ცენტრის 51 პროცენტი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა დარჩეს, რადგან საპირისპირო ქმედებამ გამოიწვია ის, რომ ავადმყოფთა ყველაზე დიდ ნაწილს უკვე აღარ აფინანსებს სახელმწიფო. აღარაა პროგრამები, რომელთა გამოისობითაც ავადმყოფს დიდი შეღავათები ჰქონდა.

**— როგორი იყო თქვენი მიმართვების ადრესატთა რეაქცია?**

— ჩვენს წერილზე ეკონომიკის სამინისტროდან მივიღეთ შემდეგი პასუხი (სტილი დაცულია): **„ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ განხილულ იქნა თქვენი 15.05.09 წლის მე-25 წერილი, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს — საქართველოს მთავრობამ, „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის“ ფარგლებს გარეთ დატოვებული ქ. თბილისისა და საქართველოს რეგიონების სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მიღებულია გადაწყვეტილება განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო პროფილის საზოგადოებების წილების და აქციების შესყიდვა შრომითი კოლექტივის მიერ.**

**რაც შეეხება, დამწვრობისა და ოფთალმოლოგიის ცენტრების უკან დაბრუნებას, სამინისტრომ „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტების შედეგების გადახედვა არ იგეგმება!“**

ამ პასუხს მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი შანიძე აწერს ხელს და ვეკითხებით თუნდაც მას, რატომ არ უნდა დაუბრუნონ ოფთალმოლოგიისა და ნეიროქირურგიის ცენტრი, დამწვრობის ცენტრი თავის მეპატრონეებს?

ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია სამედიცინო სექტორის მართვა ისევე, როგორც სხვა სფეროების.

ამიტომაც „ხალხის პარტია“ ბრძოლას აუცილებლად გააგრძელებს სასამართლოს გზით.

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

### ბათუმელი პატრულები ჟურნალისტებმა შეაშინეს

**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერებს ბათუმში საპატრულო პოლიციასთან პრობლემები შეექმნათ.**

**ბათუმში შესვლის დროს „ფორუმის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათი მანქანები საპატრულო პოლიციის რამდენიმე ბრიგადამ გააჩერა; პოლიციამ ერთ-ერთი მანქანის საჯარიმოზე გადაყვანა იმ მიზეზით მოითხოვა, რომ ერთ-ერთი თანმხლები პირის, მიშა ფაიქაშვილის კუთვნილ მანქანაზე ჯარიმა იყო გამოწერილი.**

**„ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ მიშა ფაიქაშვილი საკუთარი მანქანით არ იმყოფებოდა და, აქედან გამომდინარე, საპატრულო პოლიცია საჯარიმოზე იმ ავტომანქანის გადაყვანას აპირებდა, რომლითაც კახა შარტავა გადაადგილდებოდა.**

**ინციდენტი პოლიციასთან დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა და მხოლოდ ჟურნალისტების გამოჩენის შემდეგ ამოიწურა.**

**საპატრულო პოლიციამ ჟურნალისტების გამოჩენისთანავე შემთხვევის ადგილი დატოვა.**

**„ეროვნული ფორუმი„ ამ ფაქტს პროვოკაციად აფასებს და აჭარაში ბოლო დროს მათ გააქტიურებას უკავშირებს.**

**„ფორუმის“ ლიდერები ამჟამად აჭარის ყველაზე მაღალმთიან რაიონში, ხულოში არიან და ღორჯომის ხეობაში მოსახლეობას ხვდებიან.**

ინტერპრესნიუსი

◎ განსჯა



*ფინანსურმა კრიზისმა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა. ამას ემატება ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებიც, რომლებიც, ექსპერტთა შეფასებით, საკმაოდ მაღალია. ერთი მხრივ, ხელისუფლებამ, მეორე მხრივ, მისმა ოპონენტმა პოლიტიკურმა ძალებმა თავ-თავიანთი პროგნოზი მოამზადეს იმაზე, თუ როგორ შეიცვლება ამა თუ იმ ეკონომიკური პარამეტრის მაჩვენებელი შექმნილ რთულ ვითარებაში და როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკური სურათი წლის ბოლოს. ხელისუფლებისა და მისი ოპონენტების მონაცემები, წესისამებრ, ერთმანეთისგან განსხვავებულია. ხელისუფლების პროგნოზი კვლავაც ოპტიმისტურია, ოპონენტთა გაანგარიშებები კი, დამშვიდების უფლებას არ იძლევა. იმის გასარკვევად, თუ რა უარყოფით ძვრებს უნდა ველოდოთ ქვეყნის ეკონომიკაში წლის ბოლოს, საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტს რევაზ საყევარიშვილს ესაუბრა.*

# წლის მეორე ნახევარი პირველზე უფრო მძიმე იქნება?

**— საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2009 წლის ბოლოსათვის, შესაძლოა, ეკონომიკა 1,5 პროცენტით შემცირდეს. საპირისპიროს ამტკიცებენ ხელისუფლების ოპონენტები. მაგალითად, პარტიის — „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“ პროგნოზით, ეს მაჩვენებელი, სულ ცოტა, 5 პროცენტს მიაღწევს. რეალურად, როგორი იქნება წლის ბოლოსთვის ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება?**

— მიმდინარე წლის არასრული ექვსი თვის განმავლობაში შესაბამისი მონაცემები რამდენჯერმე გადაისინჯა და ახლა უკვე მესამე პროგნოზს ვისმენთ. თავდაპირველად, ეკონომიკის 2,5, შემდეგ კი 1 პროცენტით შემცირებაზე ლაპარაკობდნენ. ახლა კი მისი 1,5 პროცენტით შემცირებას ვარაუდობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებულ რთულ სიტუაციაში მთავრობასაც და ბევრ საერთაშორისო თუ საექსპერტო ორგანიზაციას სერიოზულად უჭირთ ეკონომიკის ზრდის ტემპის დაცემის მაჩვენებლის პროგნოზირება. თუმცა, ყველა საპროგნოზო მაჩვენებელი უარესობისაკენ არის გადახრილი და, რამდენადაც ვიცი, 6 თვის შემდეგ ეს მონაცემები კიდევ გადაისინჯება.

ეკონომიკის ზრდის 1,5-პროცენტიანი კლება არის „ძალიან კარგი“ ვარიანტი იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის დაცემის მაჩვენებელი გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, რასაც უახლოესი პერიოდი გამოაჩენს. კონკრეტული მაჩვენებლის დასახელება ძალიან რთულია, თუმცა, ფაქტია, რომ 1,5-პროცენტიანი მაჩვენებლის შენარჩუნება ძალიან რთული იქნება. როგორც ხედავთ, სერიოზული პრობლემებია შექმნილი იმ დარგებში, რომლებიც წინა წლებში ეკონომიკის ზრდის განმაპირობებელი იყო — იქნება ეს საბანკო, სამშენებლო, სამრეწველო სფეროები თუ სავაჭრო ოპერაციების დაგეგმვის სისტემა. ეს პრობლემები დღითი დღე მძაფრდება — თუნდაც, იმავე სამშენებლო კომპანიებში, რომლებიც ერთიანი ეკონომიკური აქტივობის ჯაჭვის საკმაოდ სერიოზული რგოლია. აღნიშნულ სექტორში პრობლემის გამძაფრება ბევრ მომიჯნავე სექტორსაც გადაეცემა.

**— ხელისუფლების ოპონენტები იმაზეც საუბრობენ, რომ წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში 1-მილიარდიანი გარღვევა არის მოსალოდნელი...**

— უკვე ვხედავთ, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტში ცვლილებები შეაქვს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ საგადასახადო შემოსავლები 500 მილიონი ლარით შემცირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზების კუთხით შესაძლო პრობლემების გაჩენაზე. თუმცა, ხელისუფლება იქვე ამბობს, რომ ის ამ დანაკლისის დაფარვას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებიდან მოზიდული თანხების რაოდენობის გაზრდით შეეცდება.

საგანგაშო სიმპტომია ის, რომ ქვეყანა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო დახმარებაზე.

თუ მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისის მონაცემებით, საგადასახადო შემოსავლები 500 მილიონი ლარით დაიკლებს, წლის განმავლობაში სიტუაციის გაუარესების კვალობაზე, შესაძლოა, ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს.

**— ექსპერტების ნაწილი იმ საფრთხეზეც საუბრობს, რომ, შესაძლოა, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ხელისუფლებას სოციალური ვალდებულებების გასტუმრებაში, კერძოდ, ხელფასებისა და პენსიების დაფარვაში, პრობლემები შეექმნას.**

— ბიუჯეტში შემოსულობების მობილიზების თვალსაზრისით შექმნილი პრობლემების გათვალისწინებით, ამის თეორიული საფრთხე არ არსებობს. თუმცა, არ მგონია, 7-მილიარდიან ბიუჯეტში არ არსებობდეს საიმისო რეზერვები, რომ სახელმწიფომ სოციალური ვალდებულებების გასტუმრება სრულად ვერ მოახერხოს. საბიუჯეტო ცვლილებების პაკეტში გათვალისწინებულია, რომ მთელ რიგ უწყებებს, მათ შორის, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს, დაფინანსება უმცირდებათ, ანუ თუ ხელისუფლება დაინახავს, მას მუდამ ექნება ბერკეტი, დიდი დაფინანსების მქონე სამინისტროებს თანხა „ჩამოაჭრას“ და ის სოციალური ვალდებულებების დასაფარად გამოიყენოს. თუმცა, ეს წმინდა პოლიტიკური არჩევანის საკითხია.

**— ფინანსური კრიზისის გამო ყველაზე მეტად ეკონომიკის რომელი დარგი აღმოჩნდება დაზარალებული?**

— კონკრეტული სექტორის გამოყოფა რთულია. ფაქტია, რომ ეკონომიკაში არც ერთი სექტორი არ დარჩა, რომელსაც შიდა თუ გარე კრიზისმა თავისი დაღი რა დაასვა — იქნება ეს საბანკო, სამშენებლო, ვაჭრობის, მრეწველობისა თუ მომსახურების სექტორები. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო, რაც განსაკუთრებით სერიოზულია, რადგან აღნიშნული სფერო, ერთი მხრივ, ეკონომიკის ხერხემალია, მეორე მხრივ, მოსახლეობის საკმაოდ სოლიდური ნაწილის დასაქმებას სწორედ ის უზრუნველყოფს. ბუნებრივია, წლის განმავლობაში უმუშევრობის მაჩვენებელიც გაიზრდება.

დონორი ორგანიზაციები ჯერ კიდევ შარშან შესაბამის ანგარიშში აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს მთავრობა 2009 წელს უმუშევართა რაოდენობის 100 000-ით გაზრდას მოელის. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის მონაცემები ხშირად ოპტიმისტურია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნება. ამასთან, შესაძლოა, წლის მეორე ნახევარი პირველზე უფრო მძიმე იყოს, რადგან ეკონომიკა მყისიერ ფაქტორებსა და შედეგებზე აგებული მეცნიერება არ არის და ბევრი ის მოვლენა, რაც მოხდა ან ახლა ხდება, თავის შედეგს რამდენიმე თვის შემდეგ გამოიღებს.

◎ ინფორმაცია

## დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები

**შსს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის მომზადების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.**

**შსს ინფორმაციით, დაკავებულები არიან: იოსებ თადიაშვილი, პაატა სვანიძე, ზაზა სულაძე, ლაშა დიდებაშვილი და ივანე ყველაშვილი.**

**მათი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა: 3 ცალი კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, ერთი ცალი ყუმბარმტყორცნი, 9 ცალი ხელყუმბარა და საბრძოლო მასალა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლის პირველი და 236-ე მუხლის I და II ნაწილით.**

## რუსები ოსეთში 20 სამხედრო ქალაქს ააშენებენ

**რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში სასაზღვრო კონტინგენტის შეყვანა დაასრულა. რუსეთი ე.წ. საქართველო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ 20 სამხედრო ქალაქის აგებას გეგმავს. საცხოვრებელი რუსი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის ცხინვალშიც აშენდება.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით „რუს მესაზღვრეთა განლაგება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარზე“ უკვე დასრულებულია.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო ჯარების უფროსის ალექსანდრე მურზინის განცხადებით, ამჟამად რუსი მესაზღვრეები ადგილზე კეთილმოწყობასა და საკუთარი ინფრასტრუქტურის შექმნით არიან დაკავებულნი.**

ჯი-ემ-ენი

◎ ვარაუდი

# პარტიული ჰეგემონიის თავიდან აცილების გზა

**(მესამე გვერდიდან)**

ჩვენი წინადადება ერთობ მარტივია და, ვფიქრობ, ის მისაღები იქნება ყველა პარტიისთვის (მოქკავშირის და ნაცმოძრაობის მსგავს პარტიებს არ ვგულისხმობ). იგი გამორიცხავს პირველ ადგილზე გასული პარტიის მიერ (რომელსაც, სხვებთან შედარებით, კვლავ შეიძლება აღმოაჩნდეს გაცილებით დიდი რესურსი — მატერიალური, ადმინისტრაციული, მედიასაშუალებები და სხვ.) კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას ობიექტური არჩევნების გზითაც კი!

ამისათვის, **ნებისმიერ გამარჯვებულ პარტიას, რომელიც ნახევარზე მეტ ადგილებს მოიპოვებს, შეზღუდვა უნდა დაუწესდეს.** მისი ჭარბი ადგილები (50% +1 ადგილის ზემოთ) უნდა გადანაწილდეს საარჩევნო ბარიერის გადამლახავ ყველა პარტიაზე, თავად გამარჯვებულის ჩათვლით. ამ, ასე ვთქვათ, **„პარტიული ანტიმონოპოლიური კანონით“ არც ერთ პარტიას, პრაქტიკულად, აღარასოდეს შეეძლება პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის, ანუ 2/3 (66.67 პროცენტის) მოპოვება.** ამით თავიდან ავიცილებთ ერთის ჰეგემონიას და, მაშასადამე, ბევრ უსამართლობას (ალბათ, ადვილად გასაგებია, რომ ეს შეზღუდვა შეეხება მხოლოდ პარტიული სიით გაყვანილ, ე.წ. „პარავოზით“ გაქაჩულ დეპუტატებს).

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ თუ გვსურს მუდამ გვქონდეს ჭეშმარიტად მრავალპარტიული, დემოკრატიულად არჩეული და პროფესიონალებით დაკომპლექტებული პარლამენტი (და არა დღევანდელის მსგავსი), საჭიროა მოქმედ საარჩევნო კანონში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

**1. საარჩევნო ბარიერი დაიწიოს 3 პროცენტამდე;**

**2. მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა ხდებოდეს (50%+1) პრინციპით,** და არა ამჟამინდელი (30%+1)-ით;

**3. პარტიული სიებით გასული და მაჟორიტარი დეპუტატების შეფარდება 1:1-თან შეიცვალოს 2:1-ზე, ანუ 100+50);**

**4. ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების და ბიუროკრატიული წინაპირობების გარეშე ხელმისაწვდომი გახდეს ვიდეოთვალის ჩანაწერები;**

**5. გამარტივდეს მაჟორიტარი დეპუტატის გამოწვევის პროცედურა.**



საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (პარტიებმაც!) ამომრჩევლებს უნდა განუმარტონ, რომ პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა და, აქედან გამომდინარე, აუცილებელია(!) დეპუტატებად იურისტების, ეკონომისტების, პოლიტიკოსების, სხვადასხვა დარგის ექსპერტების არჩევა და შემდეგ უკვე — ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული სხვადასხვა სფეროს (ხელოვნება, მეცნიერება და სხვ.) წარმომადგენლებისა.

არჩევნები არის ნებისმიერი კრიზისის დაძლევის და სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების ერთადერთი მისაღები გზა, ოღონდ ჩატარებული საერთაშორისო, ნეიტრალური ორგანიზაციების მიერ, და არა არსებული ხელისუფლების შენარჩუნებაში დაინტერესებული მეგობარი ქვეყნების „მეგობარი დამკვირვებლების“ მეთვალყურეობით (არჩევნების შემფასებელ, საბოლოო დასკვნის დამწერ რამდენიმე კაცს ვგულისხმობ, და არა ასობით პატიოსან, რიგით დამკვირვებელს).

არჩევნები იმდენად სამართლიანი გზაა უკიდურესად დაძაბული სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლისა ორივე მხარისთვის, რომ მისი უგულებელყოფა და სანაცვლოდ წინასწარ განწირული, საბავშვო-ბაღის, ყაყვის ფოლფასი „დიალოგის“ შემოთავაზება (ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი), ყველა ჩვენგანის, ვინც ორ თვეზე მეტია აპროტესტებს საქართველოში გამეფებულ გაუგონარ განუკითხაობას, დაცინვა და აბუჩად აგდებაა!

ზოგი ალბათ, იტყვის: მთელი თბილისი ქუჩაშია გამოსული, ჯერ გაგანია ომში ვართ, რომლის დამთავრებას ბოლო არ უჩანს და რა დროს არჩევნებზე ლაპარაკიაო. დარწმუნებული ვარ **ეს, მსოფლიოში უპრეცედენტო მშვიდობიანი „ომი“, ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრულდება,** და რამდენიმე თვეში არჩევნებიც დაინიშნება!

**იაკობ ლეჟავა.**

***რედაქციისგან: ბატონ იაკობ ლეჟავას ვთხოვთ, მობრძანდეს რედაქციაში მისთვის სასურველ დროს.***

ვაი სიცრუისგან!

*ბუჰ, ეს რა გვიქენი, რა დღე გაგვითენე, ბატონო მიშა. შიგადაშიგ ვუსმენდი შენს მონოლოგს, ერთსაათიან ბორგვას საკუთარი „რუსთავი-2“-იდან და კინაღამ კედელს თავი ვურტყი. ვინც თავიდან ბოლომდე გიყურა თუ გისმინა, თუ საღ აზრზეა, აფერუმ მის ვაჟკაცობას!*

*აბა ყველაფერზე, რაც ილაპარაკე, როგორ გაგცემ პასუხს, მაგრამ ის კი ძალიან მემცხეთა, — რაც ეს მიტინგებია, ქვეყანაში 15 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგაო, რომ თქვი და თან ამაყად გადახედე შენს ბოჩოლა მინისტრებს.*

# ამდენი დაბოდება და ტყუილი გაგონილა?

## პრეზიდენტი თურმე იმათაც არ ნაყვარებათ, „მიშა მაგარიაო“ რომ იძახიან?!



რომელი სამუშაო ადგილი, ბატონო მიშა, ღმერთი არ გწამს, თუ რა ხდება შენს თავს? ქვეყნის პრეზიდენტი საკუთარ ხალხს ასე ატყუებდეს, აბოლებდეს, შეიძლება?

როგორ, მიტინგები იყო რუსთავის ერთადერთ მოქმედ ქარხანა „აზოტში“, აგერ უკვე რამდენიმე დღეა გაჩერებული რომ არის და სამი ათასი იქ მომუშავე და კიდევ რამდენიმე ათასი მათი ოჯახის წევრი შიშით რომ ელის თუ რა მოხდება? ჭორმართალი დადის — გაზაფხულზე მთავრობამ გლეხებს სასუქები რომ დაურიგა, ქარხანას იმისი საზღაური არ გადაუხადეს და შეიძლება გაკოტრდესო. რა, ვერ ან არ იზამენ თუ?

**მიტინგი იყო 2006 წელს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში საზეიმოდ რომ განაცხადე, აქ რვა ათასი კაცი იმუშავებს, მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდებიან მეტალურგებიო? მაშინ ქარხნის მეპატრონე ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი გახლდათ. აკი სამი ათასი კაცი მართლა იყო დასაქმებული. მერე ეს დიდი მამულიშვილი ჩამოიცილეთ და იმ დღიდან ვინმე მატყუარა ჟოზეფ კეი დაეპატრონა იქაურობას და ინვესტიციებიც შეწყდა.**

**მალე ქარხნის გაყიდვაც დაიწყო, ისიც ჯართად, ნაწილ-ნაწილ... მარტენი, რვა გოლიათი ღუმელითა და ცათამბჯენი მილებით, გაქრა, ჩალის ფასად გაიყიდა ლამის მილიარდად ღირებული მოწყობილობა-დანადგარები. მერე საგლინავი საამქრო, უშველებელი თბოელექტროცენტრალი, სადაც ახალთახალი მძლავრი ტურბოგენერატორი იყო. აორთქლდა მოთუთიების საამქრო, მილსაადიდო საამქრო, ყველაზე „ახალგაზრდა“, 1980 წელს რომ აშენდა, ნაწილ-ნაწილ გაიყიდა...**

**ახლა თვით უნიკალურ შენობას შლიან და ყიდიან, და ამას აკეთებს შენი კაცი ჟოზეფ კეი, მის მიერ დაქირავებული დირექტორები ვილი ელიგულაშვილი და რამდენიმე მისი დამქაში, თავის თავს მეტალურგად რომ თვლის.**

ერთ ტყუილს შეგახსენებთ კიდევ: შარშან გაზაფხულზე, დაგჭირდა და, საზეიმოდ გახსენი ყოფილი ამწეშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ინდოელების მიერ მშენებარე არმატურის წარმოება. ის საამქრო თუ რაღაც დღესაც შენდება და როდის დასრულდება, კაცმა არ იცის! მერე რა, შენ ხომ გახსენი, ხალხს თვალებში ნაცარი ხომ შეაყარე?

ისიც ხომ იყო, მართლაც ამუშავებული საწარმო სართიჭალაში ხელახლა რომ გახსენი და ასამდე კაციც მოიყვანე დასასაქმებლად?

ერთ კვირაში რატომ დაიხურა?!

ხუთი წელი ასეთი ტყუილებით მოდიხარ და გგონია, ხალხს აჯერებ, მაგრამ ხომ გაგიგონია, ჭირმა თავი მალა-მალა, მაგრამ ველარ დამალაო? აკი შენ თვითონ იძახი, 250 ათასი კაცი გავუშვით სამუშაოდანო.

შე კაი დედმამიშვილო, ამ პატარა საქართველოში ამდენი უმუშევარი რომ გეყოლება, 30 ათას კაცამდე პატიმარი, ორ მილიონამდე ლტოლვილი და ემიგრანტი, მაშინ რისი მაქნისი ხარ, რა გეპრეზიდენტება, ასე რომ შეგაძულა ქართული გენი და ჯიში? ან რა დაგვეტაკა ქართველებს ისეთი, სამი ათასი წელი იმისთვის მოდიოდით, იმისთვის ვიბრძოდით, სისხლს ვღრიდით, რომ დღეს მიშასა და მის ბიჭებს ამოვეძირკვეთ?

...მარტვილი ჩემი მშობლიური რაიონია, მართლაც დიდებული კუთხეა, საკმაოდ მდიდარი, ნიჭიერი ხალხით, თვით დიდი გიორგი ჭყონდიდელიც იქაური იყო, მეოცე საუკუნეშიც არაერთი დიდი მამულიშვილი გაიზარდა. შენ რომ იქ ვინმე ბიზნესმენ ჯანაშიას მიერ აშენებული ჩაის ფაბრიკის გასახსნელად ჩახვედი, რატომღაც არ მესიამოვნა. არც თუ დიდი ხნის წინათ რაიონში ოთხი თუ ხუთი ჩაის ფაბრიკა იყო, სოფელ ბანძაში ჩაის ფაბრიკა რომ გაიხსნა, კარგად მახსოვს, მაშინ ცეკას მდივანი კი არა რაიკომის თავკაციც არ ჩამოსულა, ჩაის ფაბრიკა რა ისეთი ბედენაა. არადა, იმ დროს მარტო მარტვილიდან ტონობით მაღალი ხარისხის ჩაი გადიოდა საზღვარგარეთაც კი. დღეს კი იმ პლანტაციებში მხოლოდ ეკალბარდებია, არც ჩაია საკრეფი და არც მკრეფავი დარჩა. სოფლები პირწმინდად დაიცალა.

მალე გაცხადდა, თუ რა გედო გულში. იქიდან თითი დაუქნიე იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ ხუთიოდე წლის წინათ საპრეზიდენტო ტახტი შეგიმზადეს. მაგრადაც რომ წამოგასკუპეს. ქალბატონი ნინო ბურჯანაძე შენთვის რკინის ლედი იყო, სანამ შენს სურვილებს ასრულებდა. ახლა კი, როდესაც შენს წინაალმდეგ ხმალამოღებული იბრძვის და ხალხმა ლამის მეორე მაია წყნეთელად აღიაროს, ყველა სიბინძურეში ადანაშაულებ.

ასე იყო ირაკლი ოქრუაშვილი, ნოღაიდელი, ზურაბიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, დარწმუნებული ვარ, მათ რიგში მდგომთა რიცხვი ძალზე დიდი იქნება. დაგჭირდება და ნახმარი წინდებივით მოისვრი ბაქრაძეებს, წიკლაურებს, ხერხეულიძეებს (აფსუს, არადა, ხერხეულიძის გვარი სალოცავი იყო ქართველისთვის.ძ. კიდევ ვისა და იმათ, დღეს შენი ყურმოჭრილი მონები რომ არიან და თავიც ამით გააქვთ, თუ გააქვთ.

...ამას წინათ კახეთში ვიყავი, ერთ კარგ ოჯახში პურისჭამისას მასპინძელი გამომიტყდა, ჩემი ვაჟი თბილისშია, ამ მთავრობის კარგ სამსახურში. ახლახან თავისი უფროს-უმცროსობა ჩამოიყვანა, იქეიფეს და რომ შეთვრნენ, რაც იმათ მიშა ლანძღეს და აგინეს, თმები ყალყზე დამიდგა, თურმე „მიშა მაგარიას“ რომ იძახიან, პრეზიდენტი იმათაც არ ნაყვარებათო.

ჩვენს გაზეთში იმაზეც ხომ დავწერე, გაჩიანის სასაფლაოზე პატრულმა როგორ აღმოაჩინა მიშას საფლავის ქვა და როგორ ხალისობდა. ეტყობა, არც პატრულ-პოლიციას და ალბათ არც ბევრ მინისტრს თუ პარლამენტარს „ნაყვარებხარ“, ბატონო მიშა. ეტყობა კი არა, ასეა, რადგან თავისი ძმედებით ვის გამოჰყავს მიტინგებზე ის ათასები, თუ არა შენ და შენს ბიჭებს?

ოპოზიციის ლიდერებს? მეტი არ იყოს ჩვენი მტერი!

**გივი ჯახუა.**

***P. S. დანარჩენ სიცრუეებზე, ალბათ, სხვები გეტყვიან სათქმელს. იცოდე, ქართველი ერი თავს არ გადაგაჯიშებინებს.***

***გ. ჯ.***

წკეპლიკა

# ხლესტაკოვი შტატებიდან

**მკითხველს შეიძლება დაახსომდა, მოკრძალებულ პოლიტიკურ „ოპუსებში“ ერთი-ორჯერ თავი რომ შევიჩვენე — ჩემი ლიტერატურული ასოციაციები დალახვროს ეშმაკმა-მეთქი... აგერ ახლაც, ფილიპ გორდონი რომ გვეწვია აშშ-დან და ასეთი გნიასი აგვატეხინა, გოგოლის უკვდავი „რევიზორი“ არ ამომიტივტივდა?..**



არადა, იმასაც ვერ ვხვდები, „ხუ იზ ხუ“ — სახელისუფლებო მედია დაჟინებით გვიმტკიცებს ჰილარი კლინტონის (თუ ქლინთონისძ მოადგილეაო, ჩვენი პატივცემული პოლიტოლოგი (თუ კონფლიქტოლოგიძ რამაზ კლიმიაშვილი კი გაცილებით დაბალ თანამდებობაზე მოიაზრებს (ისე გრძელსახელწოდებიანზე, რომ ზერიკაცულად ვერც დავიმახსოვრეძ.

ასეა თუ ისე, დააბიჯებს მისტერ გორდონი მაღალ-მაღალ კაბინეტებში (ოპოზიციის დაუცხრომელი მეცადინეობით, გადაადგილებულებშიძ და „ვაშინგტონური ფიზიონომიის“ წყალობით ყველგან დიდკაცად იღებენ... და უბრალოდ კი არ დააბიჯებს, გვარწმუნებს, თუ კვლავ როგორ მტკიცედ უჭერს აშშ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... მაგრამ რუსეთიც რომ არანაკლები სიმტკიცით ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ რღვევას და ჯერჯეროზით უფრო გასდის, ვიდრე აშშ-ს?.. მაინც მადლობელი ვარ გორდონისა და იმის ენა-პირით, მთელი ამერიკისა, ამდენი წელი რომ „გვამყოფებს“ გაერთიანებულ საქართველოში... კიდევ მეტეოროლოგიური სამსახურის მადლიერიცა ვარ, იმის ცნობებში რომ სოხუმი და ცხინვალი ძველებურად „ჩვენია“ (თუმცა ვერ ვხვდები, კანფეტში ხილფაფის ჩადებისა არ იყოს, როგორ ახერხებენ გინდ სოხუმში, გინდ ცხინვალში ტემპერატურისა თუ ამინდის დადგენას იქ შეუსვლელად — ნუთუ მეტეოაგენტები ჰყავთ?..ძ.

გორდონისა იმისთვისაც ვარ მადლობელი, რომ ტელეეკრანზე უშიშროების საბჭოში ამდენ ხანს უშიშრად და უჩინრად მიმალული ეკა გამოგვიჩინა, თორემ გამოგიტყდებით, ეგ ახალგაზრდა ქალბატონი მონატრებული მყავდა: ჩემთვის ის უნიკალური მოვლენაა უახლესი, მიშასდროინდელი შეკვეცილი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც უსაზღვრო დიაპაზონისა, გაქანებისა და... მადის მა(ნძილოსანი. გაგახსენოთ? ორიოდ წელიწადში მოიარა იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველ-პირველი პოსტები და ახლა, მეოთხე ცდით, უშიშროების საბჭოდან ზრუნავს ჩვენს უსაფრთხოებაზე. ვგრძნობთ კიდევაც თავს უშიშრად. მადას კი რაც შეეხება, ამასაც გაგახსენებთ: ბავშვი რომ შეეძინა (ღმერთმა მშვიდობითა და უსაფრთხოდ გაუზარდოსძ, თავის თავს, საყვარელსა და ძვირფასს, 15 ათასი ლარი პრემია გამოუწერა (ასე ამბობდნენ და წერდნენ მაშინ, თორემ მე არც პრემიის გამოწერას დავსწრებივარ და არც იმის აღებას...ძ...

...ამერიკელი ხლესტაკოვი კი განაგრძობს შეხვედრებს, უღიმის, ხელს ართმევს, ესაუბრება ჩვენთა დიდჩინოსანთა (სულ დიდის ჩათვლითძ, ტელეეკრანიდან დამატებითი ატრაბახების, გაბუქვის, აბლეფვის საშუალებას აძლევს, მე კი აღარ ვიცი, რა ვუყო ნაცრით ამოვსებულ თვალებს, თანაც ზერიკაცულს...

**დიახ, ამერიკელები, ევროპელები ჩამოვლენ, წავლენ-წამოვლენ, ხოლო სოხუმნი, ცხინვალნი დარჩებიანო... რუსეთის ხელში... უქართველებოდ...**

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

## კონგრესის დადგენილება დემოკრატიული საქართველოსთვის

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დადგენილება — „დემოკრატია საქართველოში“ მიიღო. ამის შესახებ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ იუწყება.**

**— საქართველოში ეფექტური და დემოკრატიული მართვის გაძლიერება და განვითარება, რომელიც გულისხმობს თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს, ადამიანის უფლებების და კანონის პატივისცემას, დამოუკიდებელ მედიას, დამოუკიდებელ სასამართლოს, ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, ისევე, როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების გამჭვირვალობას, ყველა ეს პუნქტი არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქართველოს ინტეგრაციისთვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, — ნათქვამია დოკუმენტში.**

**დოკუმენტი კონკრეტული პუნქტების განხორციელებასაც ითვალისწინებს. კერძოდ, მისი გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 180 დღისა, ისევე, როგორც ორი წლის განმავლობაში ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, ამერიკის სახელმწიფო მდივნმა უნდა მოამზადოს მოხსენება 2008 წლის აგვისტოს ომის ფარგლებში ამერიკის მიერ საქართველოს დასახმარებლად განხორციელებულ პროექტებზე.**

**დადგენილებაში, ასევე, ნათქვამია, რომ ამერიკა დაჟინებით მიმართავს ევროკავშირს, რათა მოუწოდოს ყველა წევრ ქვეყანას რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ და სრულყოფილი დატოვებისთვის.**

**დეპუტატები იმედოვნებენ, რომ მომავალი კვირიდან პარლამენტი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.**

**რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის საგაზაფხულო სესია ივნისის ბოლო სამშაბათს იხურება და დეპუტატები არ გამორიცხავენ, რომ რიგგარეშე სხდომები ამის შემდეგ გაგრძელდეს.**

**რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, მიუხედავად დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის მიერ გამოთქმული იმედისა, ისინი პარლამენტის შენობასთან „სირცხვილის კორიდორების“ გაკეთების მიზნით მაინც იკრიბებიან.**

ინტერპრესნიუსი

მივიწყებული ფურცლები

# ყალბი ჩერვონეცები*

**იმის მიუხედავად, რომ 1924-1925 წლებში სსრკ-თან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა (აშშ-ს გამოკლებით), იმის იმედი, რომ ძალით დაამხობდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მაინც არ გამქრალა. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოები, სხვადასხვა საშუალებებთან ერთად, ცდილობდნენ აქტიურად გამოეყენებინათ მათ ტერიტორიაზე თავშეფარებული ემიგრანტები რუსეთიდან, მათ შორის ქართველებიც.**

იქ ქართველ ემიგრანტებს შორის, რომლებიც საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდნენ ანტისაბჭოთა ღონისძიებებში, გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც სპირიდონ კედია ხელმძღვანელობდა, აგრეთვე შალვა ქარუმიძე, სადათიერაშვილი და სხვები.

ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ითვლებოდა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს, საერთოდ კავკასიისა და უკრაინის ჩამოცილება.

მას შემდეგ, რაც ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს სამხედრო და საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კავკასიას. **იყენებდნენ რა თავიანთი ინტერესებისათვის მეფის რუსეთის ჩამორჩენილობას და რუსული ბურჟუაზიის სისუსტეს, უცხო კაპიტალმა ამ ქვეყნებში მყარად მოიკიდა ფეხი. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში არსებული უცხოური საწარმოების საერთო ღირებულება 2.5 მილიარდ მანეთს შეადგენდა, აქედან 250 მილიონი კავკასიის ნავთობმრეწველობაში იყო დაბანდებული. ამ თანხის 2/3 ინგლისური ნავთობის ტრესტ„ როიალ დატჩ შელს“ ეკუთვნოდა, რომლის გენერალური დირექტორი და მთავარი აქციონერი იყო ინგლისში ნატურალიზებული, წარმოშობით ჰოლანდიელი ჰენრი დეტერდინგი.**

დარწმუნებულმა საბჭოთა ხელისუფლების მალე დამხობაში, მან 1920 წელს, პარიზში ემიგრირებული ლიანოზოვისა და მანთაშევისგან შეისყიდა კავკასიაში განლაგებული ნავთობსარეწების აქციები, აგრეთვე ნიკოპოლისა და მარიუპოლის მილსაგლინავი ქარხნები, რომელთა პროდუქცია მთლიანად ნავთობმრეწველობას ხმარდება. ახლა გასაგებია, თუ რატომ იყო დეტერდინგი ანტისაბჭოთა ძალების მთავარი ორგანიზატორი.

დეტერდინგთან ერთად კავკასიაში არსებული ნავთობით დიდად იყო დაინტერესებული ემანუილ ნობელი, ცნობილი შვედი სამხედრო მრეწველისა და ნობელის პრემიის დამაარსებლის ალფრედ ნობელის ძმისშვილი და მისი ერთ-ერთი მემკვიდრე. ალფრედ ნობელმა, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, თავის ძმებთან ლუდვიგთან და რობერტთან ერთად, დიდი კაპიტალი დააბანდა რუსეთის მრეწველობაში, ძირითადად ნავთობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ემანუილ ნობელი აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა შეთქმულებებში. აი, სწორედ ეს პიროვნება, 1924 წლის 12 ნოემბერს, დეპეშით აცნობებდა შალვა ქარუმიძეს მიუნხენში თავისი ჩასვლისა და მასთან შეხვედრის სურვილის შესახებ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ემიგრანტები სპ. კედია, შ. ქარუმიძე, სადათიერაშვილი და სხვები, დასავლეთის ქვეყნებში ანტისაბჭოთა საქმიანობის გააქტიურებისთანავე ჩაბმული იყვნენ ამ საქმიანობაში.

შ. ქარუმიძე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში თანამშრომლობდა გერმანელებთან, შემდეგ სადათიერაშვილის დახმარებით გაეცნო გერმანელ სახელმწიფო და სამხედრო მაღალჩინოსნებს, თავად სადათიერაშვილი, გერმანიაში პოლიტიკურ მოღვაწეებს დაუახლოვდა, თეთრგვარდიელ გენერალ ავალოვ-ბერმონდტთან (ავალიშვილთან) პირად მდივნად მუშაობდა.

შ. ქარუმიძე სარგებლობდა აგრეთვე ედპ-ს და „კავკასიის განთავისუფლების კომიტეტის“ თავმჯდომარის სპ. კედიას სარეკომენდაციო წერილებით. ერთ-ერთ ასეთ სარეკომენდაციო წერილში (1925 წ. 3 მარტი) ნათქვამია: **„მე ვგონებ ამჟამად გერმანელ ნაციონალისტთა ინტერესები ემთხვევა ქართველი ხალხის ნაციონალურ მისწრაფებებს, ამიტომ ჩვენი ხალხების ნაციონალურ ძალებს შორის ინტერესებს შეუძლია მუდმივ თანამშრომლობამდე და პრაქტიკულ შეთანხმებამდე მიგვიყვანოს, რაც ორივე პარტიის ძირითად ინტერესებს შეესაბამება“.**

ეს წერილი ჩაბარდა მიუნხენში მცხოვრებ გადამდგარ კაპიტანს დოქტორ ვებერს. 1919 წელს იგი აქტიურად მონაწილეობდა ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლებში. ახლა ვებერი ჰიტლერთან, ერხარდტთან და პანგერმანულ კავშირთან დაახლოებული პირი იყო. მისი გეგმით საქართველო და უკრაინა იყო ის ქვეყნები, საიდანაც შეიძლებოდა მსოფლიო ბოლშევიზმის დასამარება.



შ. ქარუმიძეს ჰქონდა რაიხსვერის VII სამხედრო ოლქის სამმართველოს მიერ გაცემული ოფიციალური მოწმობა, რომელსაც ხელს აწერდა ოლქის სარდალი (1918 წელს), გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი.

შ. ქარუმიძე სარგებლობდა, აგრეთვე, ჰერცოგ გეორგ ლაიხტენბერგის სარეკომენდაციო წერილებით. ჰერცოგი იყო ნაპოლეონ I გერის ევგენი ბოჰარნეს შვილიშვილის შვილი. იგი დაქორწინებული იყო ნიკოლოზ II ქალიშვილზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მან დატოვა რუსეთი და დასახლდა თავის სამემკვიდრეო მამულში ბაიერნში (ბავარიაში). მას კავშირი ჰქონდა პანგერმანელებთან და წარმოადგენდა გენერალ ვრანგელის რწმუნებულს.

ნობელის მიუნხენში გამოჩენის შემდეგ, 1925 წლის განმავლობაში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პარიზში, ბერლინში, ჰააგაში.

ჰააგაში მიღწეული შეთანხმების თანახმად (1926 წ. მარტი), გენერალმა ჰოფმანმა ლონდონის კონფერენციისათვის (1926 წლის ივნისი) მოამზადა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის კონკრეტული გეგმა. ამ გეგმით განსაზღვრული იყო თითოეული სახელმწიფოს (თურქეთი, ბულგარეთი, სპარსეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი) როლი მოსალოდნელი საომარი ოპერაციების დაწყების დროს.

კავკასიაში და უკრაინაში ეკონომიკური პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცების მიზნით, აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა:

**ა) ხელშეკრულების მომზადებას კავკასიის ნავთობსარეწების წარმომადგენლებთან.**

**ბ) გერმანიისა და ინგლისის ინტერესების დაკონკრეტებას უკრაინასთანაც.**

**გ) გერმანელების ჩამოსახლებას კავკასიასა და უკრაინაში.**

როგორც ჩანს, ამ გეგმის განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ინგლისის სამხედრო ეკონომიკური კავშირის შექმნა საბჭოთა კავშირისაგან კავკასიისა და უკრაინის ჩამოსაცილებლად. ეს განზრახვა მოიწონა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლოკერ-ლემპსონმა, რომელმაც განაცხადა: **„ინგლისი მხარს დაუჭერს ერთა ლიგაში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას“**. 1991 წელს ინგლისი ყველაზე მეტად აქტიურობდა იმისათვის, რომ საქართველო არ გაერთიანებულიყო ერთა ლიგაში. ჭეშმარიტად: ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები.

კონფერენციის მონაწილეებს შორის უთანხმოება წარმოიშვა მაშინ, როდესაც ინტერვენციის დაფინანსებაზე მიდგა საქმე. დეტერდინგმა განაცხადა, რომ გაიღებდა იმდენ თანხას, რამდენიც მან ათი წლის განმავლობაში იზარალა, რუსული ნავთობსარეწების დაკარგვის გამო. ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა (დეტერდინგს მხოლოდ სამხრეთის რაიონების ჩამოცილება აინტერესებდა, გოფმანს კი – საბჭოთა ხელისუფლების დამხობა).

კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ გამოეშვათ ყალბი საბჭოთა ფული, რომელიც შემდეგ გადაიგზავნებოდა საბჭოთა კავშირში. ეს იდეა ყველამ მოიწონა.

1926-1927 წლებში გაუარესდა საერთაშორისო ურთიერთობები ჩინეთთან და ინგლისთან, რამაც დააჩქარა ანტისაბჭოთა ძალების საქმიანობა.

1926 წ. მეორე ნახევარში ფორსირებული ტემპით დაიწყო ყალბი ჩერვონეცების დაბეჭდვისათვის მზადება.

ამავე წლის შემოდგომაზე ვებერისა და ბელის (სამმაგი აგენტი იყო) შეკვეთით, ქარუმიძემ და სადათიერაშვილმა მიუნხენში 15 ათასი ყალბი ჩერვონეცი დაბეჭდეს, აქედან 12 ათასი საბჭოთა კავშირში გადაგზავნეს. სწორედ ამ ჩერვონეცების ნაწილი აღმოუჩინეს 1928 წლის შემოდგომაზე მეფის არმიის ყოფილ როტმისტრს შილერს. გერმანიის ოფიციალური პირები ყოველნაირად ცდილობდნენ, მიეჩქმალათ თავიანთი მონაწილეობა ყალბი ფულის მოჭრასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლო პროცესზე მათი გვარები კვლავ ამოტივტივდა. ეს ფაქტი ამხილა აგრეთვე გერმანიის კომპარტიის გაზეთმა „როტე ფანემ“.

არა მარტო გერმანელები და ინგლისელები, არამედ ფრანგებიც წინასწარმეტყველებდნენ ახლო მომავალში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბრიანთან შეხვედრის შემდეგ, 1926 წ. სექტემბერში, თავის დღიურში ჩაწერა: **„ბრიანი ახლო მომავალში ბოლშევიკური რეჟიმის დამხობას წინასწარმეტყველებს... უკრაინას და საქართველოს დამოუკიდებლობა სურს“.**

ბუნებრივია ჩნდება კითხვები, თუ როგორ ახერხებდა 1925 წლამდე თითქმის სრულიად უცნობი ქართველი ემიგრანტი შალვა ქარუმიძე ბერლინში, პარიზში, შვეიცარიასა და ბულგარეთში მიმოსვლას, მჭიდრო კონტაქტების დამყარებას გერმანიის უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან, რას წარმოადგენდნენ ამ დროისთვის ქართველი ემიგრანტები, რომლებიც თავიანთ სამშობლოშიც კი დავიწყებული ჰყავდათ და ფაქტობრივად არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ალბათ, ვრცელი გამოკვლევაა საჭირო. მოკლედ კი ასე შეიძლება ვუპასუხოთ: ამ დროს შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ, ბოლშევიზმის აღმოფხვრის დაუოკებელმა სურვილმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა, დააახლოვა ერთმანეთს საერთაშორისო ანტისაბჭოთა ძალები და ქართველი ემიგრანტები.

გერმანიაში ანტისაბჭოთა საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული პანგერმანული კავშირის წევრები. ამ კავშირის ერთ-ერთი ლიდერი ფონ რიოდერი 1923 წელს წერდა: **„ჩვენ არ გვინდა დიდი რუსეთი, ჩვენ გვსურს რუსეთი ვიხილოთ შემოერთებული ტერიტორიების გარეშე“.** რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს დანაწევრების პოლიტიკას პანგერმანელები რასისტულ საფუძველს უდებდნენ. 1921 წლის 6 თებერვალს, პანგერმანელთა თათბირზე, ბარონმა ფონ მანტაიფელ-კატცდანგენმა განაცხადა: **„რუსეთი იყო სახელმწიფო, რომელიც გერმანელებმა შექმნეს, რომელშიც გერმანელები ბატონობდნენ... ახლა მას გერმანელები ანგრევენ... მსოფლიო ისტორიამ გერმანელებს აღმოსავლეთის კოლონიზატორის როლი განუსაზღვრა“**. ამ კონცეფციის მიხედვით, თუ სლავების სხეულზე გერმანულ თავებს დავადგამთ, რაღაც კონსტრუქციული შეიძლება კვლავ შეიქმნას.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა: თუ სხვადასხვა სახელმწიფოების, მათ შორის გერმანიის, მაღალი რანგის მოხელეები მონაწილეობდნენ ყალბი ფულის მოჭრაში, მაშინ, საერთოდ, როგორ მივიდა საქმე სასამართლო პროცესამდე? რა თქმა უნდა, საქმე არასოდეს არ მივიდოდა ღია სასამართლო გარჩევამდე, მათი მაქინაციები წარმატებით რომ დასრულებულიყო. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ღია პროცესის თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა.

1927 წლის ზაფხულში გერმანიის სათანადო ორგანოებმა მიიღეს მრავალი შეტყობინება ყალბი ჩერვონეცების შესახებ. გამოძიებამ სამართალდამცავები სადათიერაშვილის კვალზე დააყენა. მისი დაპატიმრება სურდათ მიუნხენში, საკუთარ ბინაში, მაგრამ იქ მათ დახვდათ მხოლოდ ქარუმიძე, რომელსაც ხელი არ ახლეს. სადათიერაშვილი დააპატიმრეს 1927 წლის 11 აგვისტოს მაინის ფრანკფურტში.

ყალბი ფულის მოჭრით მხოლოდ საბჭოთა კავშირი რომ დაზარალებულიყო, საქმე, ალბათ, მიჩუმათდებოდა, მაგრამ ამ ფაქტმა მატერიალურად დააზარალა გერმანელი მეანაბრეები და ბანკები. ეს უკვე მეტისმეტი იყო. იქ, სადაც საქმე ფულს ეხება, პატიება შეუძლებელია. თუმცა, პირველი დაჭერიდან რამდენიმე კვირის შემდეგ პოლიციაში და იურიდიულ ინსტანციებში მიხვდნენ, რომ ამ აფიორას საერთაშორისო საფუძველი ედო და რომ ყალბი ფულის მჭრელების უკან სხვა პირები იდგნენ.

პარიზში დააპატიმრეს სპ. კედია, რომლის ხელმძღვანელობით მოქმედებდა ქარუმიძე და ქარუმიძის ბალტიისპირელი კომპანიონი ფონ შტრეხელი, მაგრამ ისინი არცკი დაუკითხავთ.

საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა ძიების მასალების გაცნობა, რადგანაც საქმე ეხებოდა ისეთ აფიორას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დააზარალა. ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

სასამართლო პროცესზე ქართველი ემიგრაციის ლიდერებიც გამოვიდნენ. მარგველაშვილი, ახმეტელი, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ გული იჯერეს საბჭოთა კავშირის ლანძღვით და აქებდნენ ქარუმიძეს, როგორც პატრიოტს.

როგორიც იყო წინასწარი გამოძიება და პროცესი, ისეთივე იყო სასამართლო გადაწყვეტილება. 1930 წლის 8 თებერვალს ბეკერი, ბიოლე და შმიდტი გაამართლეს, ქარუმიძის, სადათიერაშვილისა და დოქტორ ვებერის წინააღმდეგ აღძრული საქმე ამნისტიის გამო შეწყვიტეს და ერთადერთი ბრძანება დაპატიმრების შესახებ (იგი ეხებოდა სადათიერაშვილს) გააუქმეს. სასამართლო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისთვის სილის გაწნა იყო. იგი მიუთითებდა იმაზე, რომ ნებისმიერი დანაშაული, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, დაუსჯელი დარჩებოდა.

ცხადია, საბჭოთა მთავრობა ამ შეურაცხყოფას უყურადღებოდ არ დატოვებდა, განახორციელეს სათანადო დიპლომატიური ღონისძიებები. ამავე დროს წარმოიშვა გერმანიის ხელისუფლებისათვის უფრო სერიოზული მნიშვნელობის ფაქტორი – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით დააზარალა გერმანია. ამერიკამ შეწყვიტა კრედიტები. გერმანიის მრეწველობა ერთი მეორეზე მიყოლებით კარგავდა დასავლეთის ქვეყნებში გასაღების ბაზრებს. თითქმის ერთადერთ იმედად რჩებოდა უზარმაზარი საბჭოთა ქვეყანა დიდი შესაძლებლობების მქონე გასაღების ბაზრებით. გერმანიის ბურჟუაზიამ სწრაფად გააცნობიერა ის, თუ რა ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა სსრ კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუარესებას.

**ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობეს, 1930 წლის ზაფხულში სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლა. ქარუმიძეს მიუსაჯეს 2 წელი და ათი თვე, სადათიერაშვილს ორი წელი პატიმრობა. შმიდტი და ბელი მცირეოდენი თანხით დააჯარიმეს. სადათიერაშვილს წინასწარ პატიმრობა სასჯელის მოხდაში ჩაუთვალეს და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ქარუმიძე კი ამ დროს შვეიცარიაში ცხოვრობდა. ასე რომ, სასამართლოს გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა და მოსამართლეებმაც იცოდნენ, რომ იგი არ შესრულდებოდა.**

სასჯელი ვერ აიცდინა მხოლოდ ბელმა. იგი ოდიოზურ ფიგურად იქცა. მან ბევრი საიდუმლო იცოდა. მისთვის ცნობილი იყო ნაცისტების ფინანსური კავშირები დეტერდინგთან და საზღვარგარეთის სხვა წრეებთან, ნაცისტური პარტიის მოიერიშე და დამცველი რაზმების ხელმძღვანელთა ადამიანური სისუსტეების შესახებ. რაიხსტაგის დაწვის შემდეგ, მან შესძლო გერმანიის დატოვება, მაგრამ შორს ვერ წავიდა. ჰიტლერის მიერ მიგზავნილმა მკვლელებმა 1933 წლის 5 აპრილს ტიროლში, ერთ-ერთ პატარა რესტორანში იგი დაცხრილეს. ეს იყო პირველი ფარული ანგარიშსწორება, რომელიც ნაცისტებმა საზღვარგარეთ განახორციელეს.

**ვაჟა თვალავაძე.**

**. **ჩერვონეცი იყო 1922-1947 წლებში სსრკ-ში სახელმწიფო ბანკის მიერ გამოშვებული ათმანეთიანი ნომინალის საბანკო ბილეთი. 1947 წელს ფულის რეფორმის საფუძველზე ჩერვონეცი შეიცვალა მანეთში გამოხატული ახალი საბანკო ბილეთებით.***

კეთილი სტუმარი

*რედაქციაში ქალბატონი მედეა კახიძე გვესტუმრა, მუზაუბერებელი პოეტი, და ახალი ლექსები მოგვიტანა. ქალბატონი მედეა ბოლო წლების განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა, სადაც ქალიშვილი ჰყავს გათხოვილი...*

*ქალბატონი მედეა შთაბეჭდილებებითა და ლექსებით დახუნძლული ჩამოვიდა სამშობლოში. ზაფხულს აქ გაატარებს, მწერალთა ეროვნულ ყრილობას დაესწრება და მერე მშობლიურ სახლს მოინახულებს ყვარლის რაიონში. ჩვენი საუბარი პოეტთან სამშობლოს მონატრებით დაიწყო:*

# სამშობლოს ყველგან გულით ვატარებ...



**– განშორებამ პოეტურ მუზაზე როგორ იმოქმედა?**

– უფრო გაამძაფრა სამშობლოს განცდა. უამრავი ლექსი დავწერე. ჩემი სამშობლო ჩემს გულშია. და იქნება, ვიდრე ცოცხალი ვარ.

**– ანა კალანდაძემ თქვა ერთხელ, პოეზია მაინც ახალგაზრდობისააო... თქვენც იგივეს ფიქრობთ?**

– არ ვიცი, მე, მაგალითად, ამ ასაკში 184 ლექსი დავწერე. მე ეგრე არ ვიტყოდი, რადგან გააჩნია, ვინ როდის ბერდება. ძალიან ახალგაზრდები ზოგჯერ ახალგაზრდობაშივე დაბერებული არიან, ძალიან მოხუცები კი ახალგაზრდები დარჩნენ.

ანას სიკვდილი გვიან გავიგე. ჩემი და ასეთ სამწუხარო ამბებს არ მატყობინებს ხოლმე, იცის, რომ ძალიან განვიცდი.: მოგვიანებით გაზეთები გამომიგზავნა და იქ წავიკითხე. დავწერე წერილი: „დაგვიანებული გამოთხოვება ანა კალანდაძესთან" და გერმანიაში გამომავალ ქართულ ჟურნალში გამოვაქვეყნე, რომელსაც „ქართული" ჰქვია. რედაქტორია ნინო ხაბელაშვილი.

**– თქვენზე ხმა გავრცელდა, მედეა კახიძე გერმანიაში გარდაიცვალაო... თავად თუ გაიგეთ ამის შესახებ?**

– ვიღაცამ გაავრცელა... საქართველოს საელჩოდან დარეკეს და იკითხეს, ქალბატონი მედეა როგორ ბრძანდებაო. ჩემმა სიძემ უპასუხა, ძალიან კარგად, თუ გნებავთ, დაგალაპარაკებთო... მივედი ტელეფონთან, მომიკითხეს და სხვა არაფერი უთქვამთ. აქ ჩამოსვლისას გავიგე ეს ჭორი და ახლა მივხვდი, რატომ დამირეკეს.

**– რა ვითარებაა გერმანიაში, რა აწუხებს იქაურ ხალხს?**

– გერმანიაში დემონსტრაციებია. ეკონომიკური კრიზისია და ხალხი ძალიან უკმაყოფილოა – ხელფასები ჩამოაკლეს, სამსახურებიდან დაითხოვეს...

**– იქაურ ხალხს როგორ დაახასიათებთ?**

– ჩემი აზრით, ქართველ ხალხს არავინ შეედრება. ერთ ლექსში ვამბობ:

**„აქ არ იციან, რა არის ნდობა,**
**აქ არ იციან, რა არის ხათრი ".**

არც ნდობა და არც ხათრი არ იციან, აი, მეგობრობა კი იციან. თუ ვინმე შენთან მეგობრობს, არ გიღალატებს. ანგარებით მეგობრობა იქ არ არსებობს.

კიდევ მინდა გითხრათ, რომ გერმანიაში ყვავილები არ იცინიან, საქართველოში ყვავილები პირდაპირ შემოგღაღადებენ. იქ, როგორი მზიანი დღეც არ უნდა იყოს, ყვავილები მოწყენილები არიან. მე ასე ვხედავ.

**– გერმანიაში ყოფნისას მხოლოდ ლექსები დაწერეთ? თქვენს ასაკში ხშირად მოგონებები იტაცებთ...**

– დავწერე: 184 ლექსი, 53 ნოველა, მოგონებები ლევან გოთუაზე, შოთა ნიშნიანიძეზე, ნოდარ დუმბაძეზე, რეზო ინანიშვილზე... ჩემს მეგობრებზე, ვისთანაც თბილი ურთიერთობა მქონდა... კიდევ პატარ-პატარა რაღაცები... ერთი რომანიც დავასრულე, ახლა მეორე რომანს ვწერ. დღე და ღამე ვმუშაობ. აქ რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ამდენს ვერ დავწერდი. ჯანდაბას, ოღონდ ვყოფილიყავი და ნუ დავწერდი...

**– XXI საუკუნეა და... ჩვენთან მრავალი ლიტერატურული მიმდინარეობაა. ამ თვალსაზრისით რა ხდება გერმანულ მწერლობაში?**

– იქ ეს ყველაფერი განვლილია. ვისაც როგორ უნდა და რა ეპრიანება, ისე წერს. სამშობლოს თემა, რომელიც ჩვენთან მძაფრადაა გამოკვეთილი, იქ არ არის. უფრო სოციალური, პირადული თემებია წინ წამოწეული, გერმანიაში სამშობლოზე არც ერთი ლექსი არ წამიკითხავს.

ჩვენ კი... სამშობლოზე ვწერთ, სადღეგრძელოებს ვამბობთ, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სამშობლო არ გვიყვარს.

**– საქართველო პატარა ქვეყანაა და ბედისწერასავით თან სდევს ეროვნული მეობის გადარჩენის საკითხი. ახლახან ორი ძირძველი ტერიტორია დავკარგეთ...**

– ეს თემა ჩემს პოეზიაში აქტუალურია. მალე გამოიცემა ჩემი ახალი წიგნი, სადაც შევა ლექსები: „დევნილი", „ჩაგვწერეთ ქართველები წითელ წიგნში"... ერთგან კი ვწერ: „ჩვენც არ გაგვყიდონ ხვალ ან ზეგ, ჩემო ამაყო არაგვო!"

ძალიან ბევრი ლექსი შეიქმნა სამშობლოზე. ამ თემას გვერდს ვერ ვუვლი, გულში მიზის, როგორც მოლაღური ზის ბუდეში გაზაფხულობით.

**– თქვენ ადრეულ ლექსში წერთ: „რად დაუმოკლდა დედას საფრენი ფრთები? რად გაუთეთრდა დედას ლამაზი თმები? მამას სიცოცხლე რატომ დაუჯდა ძვირად? სად წაიყვანეს, ვით დასაკლავი ხარი?.." რა არის ეს ტკივილი, რასაც ხშირად ახსენებთ თქვენს ლექსებში?**

– მე და ჩემი და გულიკო ობლად გავიზარდეთ ყვარლის რაიონში. ჩემს სოფელს ახალსოფელი ჰქვია, ძველი გავაზი ერქვა და კომუნისტებმა შეუცვალეს სახელი. მამაჩემი განათლებული კაცი იყო, შვიდი ენა იცოდა, კომუნისტები არ მოსწონდა, ტროცკისტად შერაცხეს. მამაჩემს მთავრობისადმი წინააღმდეგობა არ გამოუხატავს, უბრალოდ, კომუნისტები არ მოსწონდა. კოლმეურნეობაში არ შევიდა, ასჯერ დაიბარეს, რატომ არ შემოდიხარო, ჩააცივდნენ, ხუმრობდა – გუშინაც ვიყავი კანტორაში და გამოვედიო. ისე დაიჭირეს და წაიყვანეს, იმისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ.

**– დედა რა პროფესიის იყო?**

– დედამ გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ მამაჩემის გამო სამსახური არ მისცეს. ბოლოს, როგორც იქნა, ბუღალტრად დაიწყო მუშაობა ახალსოფლის კოლმეურნეობაში.

**– მამულები გქონდათ?**

– 1930 წელს, განკულაკებააო და ყველაფერი წაგვართვეს, 1937 წლამდე მამამ შეძლო კიდევ რაღაცის შოვნა. ასე რომ, ბოგანოები არ ვიყავით.

**– მაშინ, ალბათ, ძალიან პატარა იყავით? როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

– 4 წლის ვიყავი. სკოლა იქ დავამთავრე. მერე უმაღლესში შევედი, იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ლიტერატურული წრე იყო ჩამოყალიბებული, მაშინ გავიცანი შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ლადო მრელაშვილი, ნაზი კილასონია. ამ წრეში ჩავები აქტიურად, დავიწყე ლექსების წერა და გამოქვეყნება.

უნივერსიტეტში ჩემი ლექტორი იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პროკურორი ფურცხვანაძე. მან მითხრა, რომ მოსამართლედ აგირჩევო, მაგრამ გიორგი ლეონიძე წავიდა წინააღმდეგი – ამას არ უნდა მოსამართლეობა, პოეტია და პოეტად დარჩებაო.

**– გიორგი ლეონიძეს კარგად იცნობდით?**

– გადასარევად, მესამე შვილად მიმიჩნევდა. მის ნაყიდ ტაფას ახლაც ვინახავ სოფელში, მარანში. უკვე დაჟანგულია, მაგრამ არ გადავაგდე.

**– მაგ ტაფის ისტორიას ხომ ვერ გაიხსენებდით...**

– ქუჩაში ერთად მივდიოდით. გზად მაღაზიაში შევიარეთ. თავის ორ ქალიშვილს უყიდა და ჩემთვისაც შეარჩია. სოფელშიც ყოფილა სტუმრად. ლაგოდეხში დეპუტატად აირჩიეს, იქიდან ჩვენთან გამოიარა, დიდი სუფრა გავუშალეთ. სკოლაში შეხვედრა გავუმართეთ. იმდენი ქება და დითირამბები დაღვარა, სირცხვილისგან გავწითლდი. მაშინ ერთი წიგნის ავტორი ვიყავი.

**– ახლა რამდენი წიგნი გაქვთ გამოცემული?**

– ბევრი, 15 მაინც, არც ერთი წიგნი არ გამიმეორებია.

**– თქვენ მკითხველი გაფასებთ. ბევრმა ზეპირად იცის თქვენი ლექსები...**

– ეს ჩემთვის დიდი ჯილდოა. ერთადერთი ჯილდო მაქვს მიღებული – ნოდარ დუმბაძის შუამდგომლობით მომცეს სახელმწიფო პრემია. მაგრამ ყველაზე მეტად მეძვირფასება, მკითხველი ჩემს ერთ სტრიქონს თუ მაინც გაიხსენებს.

ნოდარ დუმბაძემ წარმადგინა კომკავშირის პრემიაზეც, მაგრამ არ მომცეს. გაანათლოს ღმერთმა, უბრწყინვალესი მწერალი და სამართლიანზე სამართლიანი ადამიანი იყო.

**– რატომ არ მოგცეს ეს პრემია?**

– ნოდარ დუმბაძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, დაურეკეს და უთხრეს, არ გრცხვენია, ლექსებში კომკავშირი ნახსენები არ არის და კომკავშირის პრემია როგორ უნდა მივცეთო.

ნოდარი იცინოდა, ძამა ჩავიჭერიო. მინდოდა ცოტა ფული გაგჩენოდაო. მერე დილარ ივარდავას მისცეს ეს პრემია.

**– ყველა შემოქმედი თავისებურად მუშაობს. როგორ იწერება ლექსი მედეა კახიძესთვის?**

– შეიძლება ღამეც გამეღვიძოს და ლექსი დავწერო. ყოველთვის კალმისტარი და ფანქარი ახლოს მიდევს. ხან სინათლეს ვერ ავანთებ ხოლმე და ისე ვწერ, დიდი ასოებით. ხან შეიძლება მუზა ქუჩაშიც მომივიდეს... შეკვეთით ლექსი არასდროს დამიწერია, ქაღალდზე გადამაქვს მხოლოდ ის, რასაც განვიცდი.

**– რაიმე განსაკუთრებულ ისტორიას ხომ არ უკავშირდება თქვენი გახმაურებული ლექსი „ვისაც სიყვარული შეუძლია?"**

– ეგ ლექსი ჩემი დის ზურგზე დავწერე. ტრამვაიში იჯდა, პატარა ბლოკნოტი ამოვიღე, ზურგზე მივადე და დავწერე, რასაც ამ ლექსში ვამბობ, ყოველთვის ასე ვფიქრობდი. ყოველთვის მიყვარდნენ ადამიანები, არასდროს არავინ არ მძულდა. ახლაც ასე ვარ. სიძულვილი არ შემიძლია. მე ადამიანი მიყვარს და საუკეთესოს აღმოჩენას ვცდილობ მასში.

**– თქვენს პოეზიაში გამორჩეულია სიყვარულის თემა...**

– ყველა ლექსი, რომელიც სიყვარულზეა, ჩემს მეუღლეს ეძღვნება. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ახლაც მიყვარს, გარდაცვალების შემდეგ...

3 წელიწადი შეყვარებულები ვიყავით, ვიქორწინეთ ფშავში, მაღაროსკარში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო გრიშა ბილიხოძე. მან მოგვაწერინა ხელი... 10 წლის შემდეგ ისევ ვნახეთ იგი. მე და ჩემი მეუღლე ნოდარ დუმბაძემ წაგვიყვანა მაღაროსკარში, იქ შეხვედრა ჰქონდა... სადაც სუფრა გაიშალა, გრიშა ბილიხოძის ოჯახი გამოდგა. მე და ჩემმა მეუღლემ მაშინვე მოვიკითხეთ იგი... გვერდით ოთახში იწვა, სისხლი ჰქონდა ჩაქცეული... მოვინახულეთ, გადაირია სიხარულით. ეს კაცი პატიოსნების განსახიერება იყო... გავიგეთ, რომ ძალიან უჭირდა და 100 თუმანი დავუტოვეთ, ჩემმა მეუღლემ ჩუმად ბალიშის ქვეშ ამოუდო. ასე მეგონა, ღვთის წინაშე ვალმოხდილი ვიყავი.

**– თქვენს მეუღლეს ოქროს ეძახდნენ? მისადმი უამრავი ლექსი გაქვთ მიძღვნილი...**

– სინამდვილეში ზაქარია ერქვა, მაგრამ ყველა ოქროს ეძახდა. ოქრო მამისაშვილი უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო, მართალი მოსამართლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, და ამას ემსხვერპლა კიდეც.

ბოლოს მან გაარჩია ყანდაურელი ყაჩაღად გავარდნილი კაცის თევდორაშვილის საქმე. მას დახვრეტის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ოქრომ 15 წელი მიუსაჯა, რაც უმაღლესი თანამდებობის ერთ-ერთ პირს არ მოეწონა. ჩემმა მეუღლემ ინერვიულა.

როცა იგი გარდაიცვალა, ერთი კაცი შემოვიდა, მის თავთან დადგა, დაიჩოქა, მერე ადგა, ჩემთან მოვიდა, ხელზე მაკოცა და წავიდა. გავიგე, რომ თევდორაშვილი იყო...

15 წელი არ შეუსრულებია ციხეში, რაღაც ამნისტია შეხებია და მალე გამოვიდა.

ჩემს მეუღლეზე ასე ვწერდი: „არტერიებში გაუდიოდა მტკვარი"... ულამაზესი კაცი იყო – მიჯაჭვული ამირანივით ვაჟკაცური, მაღალი, მხარბეჭიანი, ჭკვიანი, გონიერი და მოწყალე, კეთილზე კეთილი. სულ იმას ამბობდა, რად მინდა, მოსამართლე რომ ვარ, ყველა მეცოდებაო, ქალს როგორ დავიჭერ, ოჯახში ქმარი აღარ მიშვებს და გაუბედურდებაო. ყველა ქალს როგორც შეეძლო ისე ეხმარებოდა, თუ ციხეში პატიმარი პატიმარს ეტყოდა, მამისაშვილს აქვს შენი საქმეო, ერთმანეთს ულოცავდნენ, გადარჩენილხარ, ძმაო და ეგ არისო... ასეთია ჩემი ცხოვრების ისტორია...

**...ქალბატონი მედეას შვილი თამარი გერმანიაშია დაოჯახებული. ჰყავს 20 წლის ირაკლი: „ირაკლი ნამდვილი ქართველია, ულამაზესი ბიჭია, გოგოები კარებს გვიმტვრევენ", – სინათლე კრთება ქალბატონი მედეას თვალებში. თამარი შტუტგარტის ვალდორფის სკოლის მასწავლებელია, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის: „დიდი ტკივილი მაქვს გულში. სულ ვოცნებობ, ჩემი შვილი საქართველოში დაბრუნდეს. მპირდება დავბრუნდებიო. მეც ამ იმედით ვცოცხლობ, თუ მოვესწარი..."**

**პოეტის იმედი კი ჩვეულებრივი იმედი არ არის – წინასწარმეტყველებას ჰგავს...**

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

## ბუნტი ახმეტელის თეატრში

**ახმეტელის თეატრის ყოფილი მთავარი რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი თეატრში არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობს.**

როგორც რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა განაცხადა, ახმეტელის თეატრის მთავარი რეჟისორის პოსტი 29 მაისს თავისი ნებით დატოვა.

ამის მიზეზი იყო ის, რომ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების წარმართვისთვის ბერკეტები არ მქონდა. თეატრში სრულიად არაპროფესიონალმა ადამიანებმა დაიწყეს სპექტაკლების დადგმა და მოახდინეს რეჟისორის პროფესიის პროფანაცია, — განაცხადა შალუტაშვილმა.

მისივე თქმით, ერთი წელი, რაც ახმეტელის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო, ყველაზე წარმატებული გამოდგა თეატრისათვის. თეატრალური სეზონის განმავლობაში მოხერხდა 5 წარმატებული სპექტაკლის დადგმა, რომლებიც სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

ამის მიუხედავად, თეატრის მმართველმა არ მომცა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მართვის საშუალება, რაც სწორედ მთავარი რეჟისორის საზრუნავია. გარდა ამისა, თეატრში პირობები დღემდე ძალიან ცუდია. არ არსებობს წესიერი საგრიმიორო, გარდერობი, მაყურებელთა დარბაზი გასარემონტებელია, — განაცხადა შალუტაშვილმა.

მისივე თქმით, ყველა ეს პრობლემა თეატრის მენეჯმენტმა უნდა მოაგვაროს, თუმცა ისინი ამ საქმით დაკავებულები არ არიან.

მისივე თქმით, მსახიობების თხოვნის მიუხედავად, ამ პირობებში თეატრში დაბრუნებას ვერ შეძლებს.

## გამოცხადა გრიპის ვირუსის პანდემია

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, პირველად ბოლო 40 წლის განმავლობაში, გრიპის ვირუსის პანდემია გამოაცხადა.**

სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, გრიპის პანდემიის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წინასწარი შეტყობინება ორგანიზაციის ყველა წევრმა მიიღო.

გადაწყვეტილება პანდემიის გამოცხადების შესახებ ექსპერტების საგანგებო კომიტეტის კონსულტაციების შედეგად მიიღეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაგეგმილია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორის მარგარეტ ჩენის პრესკონფერენცია.

21-ე საუკუნეში პანდემია პირველად გამოცხადდა. წინა შემთხვევა 1968-1969 წლებში დაფიქსირდა.

10 ივნისს ჯანდაცვის მოფლიო ორგანიზაციამ დააზუსტა, რომ მსოფლიოს 74 ქვეყანაში გრიპის ვირუსით დაავადების 27 737 შემთხვევა დაფიქსირდა, 141 დაავადებული კი გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საგანგაშო სიგნალი საქართველოსთვის, უკრაინისა და დასავლეთისთვის

**უშიშროებისა და ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით, არ შეიძლება დასავლეთს არ აღელვებდეს 11 ივნისს საქართველოსა და უკრაინაში წარმოქმნილი კრიზისის შედეგები, რომლებსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშკარად არ უთმობენ სათანადო ყურადღებას.**

2003 წელს საქართველოს „ვარდების რევოლუციამ“ და უკრაინაში „ნარინჯოვანმა რევოლუციამ“ მთელ მსოფლიოში დიდი იმედები წარმოქმნეს ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში დემოკრატიის ზეიმთან დაკავშირებით. მაგრამ მალე დემოკრატიულმა ძალებმა, რომლებსაც აჩანაგებენ პიროვნული შეუთავსებლობანი ლიდერებს შორის და კორუფციული ინტერესების დაპირისპირება, თავიანთი ქვეყნების მომავალი საფრთხის წინაშე დააყენეს. რუსეთში სწორედ ამ უთანხმოებებმა დემოკრატებს შორის შეუმსუბუქეს ამოცანა ვლადიმერ პუტინს, რომელმაც ქვეყანა ავტორიტარულ გზას დაუბრუნა.

დღეს მოსკოვი სარგებლობს იმ სიტუაციით, რომელიც შეიქმნა უკრაინასა და საქართველოში, რაც ახდენს დემოკრატების დემონიზაციას, ეხმარება მათ მოწინააღმდეგეებს და სეპარატისტებს. დემოკრატების უუნარობა, მოაწესრიგონ ამ ქვეყნებში თანამშრომლობა, შეიძლება გადაიქცეს ავტორიტარული ანტიდასავლური რეჟიმების დამყარების საფუძვლად.

თუ უკრაინასა და საქართველოს სურთ, თავიდან აიცილონ ამგვარი შედეგი, მათ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ მთელი რიგი რთული გადაწყვეტილებანი.

საქართველოში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მიიღო განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავდაპირველად ახორციელებდა რეფორმებს, მაგრამ შემდეგ დაიწყო სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი შეურიგებლობის გამოვლენა, ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების დევნა და დისკუსიების თავისუფლების შეზღუდვა. „ვარდების რევოლუციით“ მისი ყოფილი თანამებრძოლები დღეს სათავეში უდგანან ოპოზიციურ პარტიებს. მათი მომხრეები ბლოკავენ ქუჩებს და კეტავენ სარკინიგზო მიმოსვლებს. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ფეხბურთის სტადიონზე შეიკრიბა ათეული ათასობით დემონსტრანტი.

მაისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა მოუწოდეს ოპოზიციონერებს, დაიწყონ მოლაპარაკება ხელისუფლებასთან შემდგომ რეფორმებთან დაკავშირებით. ეს მოწოდება, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი იქნა. ამის შედეგად ოპოზიციური ორგანიზაციების უმრავლესობა მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, დღეს მას მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ორი მეხუთედი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ძალადობის აფეთქების შესაძლებლობა საქართველოში. მაგალითად, იქ უკვე აჯანყდა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი, ანტისამთავრობო ტელესადგურის შენობაში კი აფეთქდა ყუმბარა.

უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და პრემიერი იულია ტიმოშენკო „ნარინჯოვანი რევოლუციის“ მსვლელობის დროს სათავეში ედგნენ დემოკრატიულ ძალებს, შემდეგ კი აწარმოებდნენ რეფორმების ინიცირებას. მაგრამ კორუფცია საფუძველს აცლის უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია დინამიურ ეკონომიკურ ზრდასთან. კვლავ რჩება ძალაში განხეთქილება ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის. ორი ლიდერი გადაკიდებული მტრები აღმოჩნდნენ. იუშჩენკო ტყავიდან ძვრება, რათა გაამწაროს მოსკოვი, ტიმოშენკო კი ფიქრობს კოალიციის შექმნაზე, რომელიც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული რუსეთთან. და ეს მხოლოდ ზედაპირული ნარკვევია მიმდინარე მოვლენების შესახებ.

როგორია, ბოლოს და ბოლოს, ამ სამწუხარო პოლიტიკური „იგავ-არაკის“ მორალი?

ჯერ ერთი, სტალინის მემკვიდრეობა, რომელიც ამკვიდრებდა შიშს, ურწმუნობას პოლიტიკურ არენაზე და საზოგადოებაში, დღემდე უწევს



წინააღმდეგობას თავისუფალ დისკუსიებს, თუმცა სწორედ ეს დისკუსიები ამტკიცებენ სტაბილურობას პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში. მაგალითად, საქართველოს საზოგადოებაში რუსეთთან დამანგრეველი ომისა და ეკონომიკური დაცემის დასაწყისის შემდეგ გაძლიერდა დაპირისპირება. სწორედ შესაძლებლობა – გულღიად განიხილო ეს პრობლემები, აძლევს საშუალებას ქართველებს, არ გააღრმავონ დაპირისპირება. სააკაშვილმა გონივრულად აიცილა 2007 წლის სიტუაცია, როდესაც მან ძალით დაარბია სამშვიდობო დემონსტრაცია და ხურავდა თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

ამჟამად უკვე აუცილებელია სერიოზული მოლაპარაკება მხარეებს შორის და აზრთა სხვადასხვაობის მოწესრიგება დემოკრატიული გზით. უკრაინაში ღია დისკუსიები აიოლებენ ძნელი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქვეყანას, მიიღოს დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და ეს ასუსტებს აგრეთვე რეგიონთაშორის დაძაბულობასაც.

მეორე გაკვეთილი ასეთია: გათიშულობა და სისუსტე იმ მომენტში, როდესაც ორივე ქვეყნის მომავალი ბეწვზე ჰკიდია, იწვევს სახიფათო შედეგებს. დავები დემოკრატებს შორის უკრაინაში ასუსტებს მათ უნარს, წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ზემოქმედებას ენერგეტიკის ტრანზიტისა და ყირიმის სტატუსის საკითხებში. ანალოგიური დაპირისპირება საქართველოში ხელს უშლის პოლიტიკურ შერიგებასა და ლოიალური და აპოლიტიკური შეიარაღებული ძალების მშენებლობას.

ჩვენ ხშირად გვესმის მოწოდებანი, ძირითადად შეერთებული შტატების მისამართით, რომ მან მოუწოდოს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობას „წესრიგისკენ“ და აიძულოს ისინი, დაძლიონ შინაპოლიტიკური ჩიხი. გასულ კვირას, მაგალითად, იუშჩენკო შეხვდა კიევში „დიდი რვიანის“ ქვეყნების ელჩებს და სთხოვდა მათს ქვეყნებს დახმარებას უკრაინის დემოკრატიის გადარჩენაში. მაგრამ ასეთ ნაბიჯებს არ მივყავართ ეფექტიან შედეგებამდე. პოლიტიკური პროცესები უკრაინასა და საქართველოში ატარებენ რთულ ხასიათს და უცხოელებს მათი ცუდად ესმით. ამას გარდა, ან იქნებ სწორედ ამის გამო, უცხოეთიდან შემოსულ რჩევებს კიევშიც და თბილისშიც, როგორც წესი, არ უსმენენ.

მაგალითად, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა უგულებელყო არაერთგზისი გაფრთხილება, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისაც, თავიდან აეცილებინა რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი. უკრაინაში „ნარინჯოვანი რევოლუციის“ ლიდერები, თავის მხრივ, ყურად არ ღებულობენ დასავლეთის ქვეყნების რეკომენდაციებსა და უკრაინის დიასპორის რჩევებს პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის შესახებ ერთმანეთთან და კორუფციასთან ბრძოლაში.

ყველაზე მთავარი გაკვეთილი უკრაინისა და საქართველოსთვის არის ის, რომ მათმა მთავრობებმა და მოქალაქეებმა გამოიჩინონ მამაცობა და დაძლიონ წარმოქმნილი პრობლემები. ლიდერებმა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა დაუთმონ რეფორმებს. თუ მათ არ სურთ ან არ შეუძლიათ მათი განხორციელება, მაშინ უნდა ჩამოვიდნენ სცენიდან. ლიდერთა ახალი თაობა – ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც არ განუცდიათ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა – შეიძლება უკეთ შეძლებს, შეაკავოს კონსერვატიული ძალები და მაღლა ასწიოს რეფორმების დროშა. უკრაინაშიც და საქართველოშიც არიან ღირსეული კანდიდატები ამ როლისთვის.

ამავე დროს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამაც უფრო აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი რეფორმებისთვის პირობების გაუმჯობესებას და არ დაუშვან ჯვარი დემოკრატიული გარდაქმნების შესაძლებლობას არაკეთილსაიმედო ქვეყნებში. ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტი ამისთვის გახდებოდა დახმარების გაფართოება კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის, პატიოსანი არჩევნების, ადამიანის უფლებების დაცვის და უმცირესობათა უფლებების დაცვის, აგრეთვე კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. პროცესი ამ მიმართულებებით უნდა უსწრებდნენ მოვლენებს და გახდნენ პირობები ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოებისთვის, და არა, პირიქით.

უკრაინამ და საქართველომ უნდა აშენონ თავიანთი მომავალი და გამოძებნონ ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ თანამშრომლობა ერთმანეთთან დემოკრატიის სახელით. ქუჩის დემონსტრაციები, ეკონომიკური კრიზისი და მოსკოვის ზემოქმედება უნდა გახდეს მათთვის განგაშის ხმამაღალი სიგნალი. თუ დემოკრატები ვერ გაერთიანდებიან, ძალები, რომლებიც საზოგადოებას წარსულისკენ ექაჩებიან, შეიძლება განმტკიცდეს, – როგორც ეს მოხდა რუსეთში, – რაც ზიანს მიაყენებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ინტერესებსაც.

**დენის კორბოი,**
**უილიამ კორტნი,**
**კენეტ იალოვიცი**

THE CHRISTIAN SCIENCE MONITOR

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკაში მორიგი მცდელობა – მიიღონ კუდრინისგან ჩვენებანი ხოდორკოვსკის საქმესთან დაკავშირებით – კრახით დამთავრდა**

ვაშინგტონის სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება რუსეთის ფინანსთა მინისტრის გამოძახების შესახებ დაკითხვაზე იუკოსის საქმესთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ალექსეი კუდრინს ჩვენებათა მიცემისგან იცავს დიპლომატიური იმუნიტეტი, რომელიც განპირობებულია მთავრობის წევრის სტატუსით.

* * *



**პაკისტანის პეშევერაში კვლავ გაისმა აფეთქების ხმა: ერთი დაიღუპა, დაიჭრა 14 კაცი**

ტერორისტმა თვითმკვლელმა თავი აიფეთქა ხუთშაბათ საღამოს ქალაქ პეშევერის ჩრდილოეთ ნაწილში პოლიციელთა ჯგუფის მახლობლად. სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლად იქცა ერთი კაცი. დაჭრილთა შორის 8 პოლიციელია. აფეთქების წინ ტერორისტმა მის მახლობლად მდგარ პოლიციის ფურგონისკენ ისროლა ხელყუმბარა.

* * *



**ბინ ლადენი ძველებურად იმალება პაკისტანში, მიაჩნია დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს**

ბინ ლადენის ლიკვიდაცია ან მისი დაჭერა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რისთვისაც მუშაობენ მისი ოპერატიული თანამშრომლები პაკისტანში. ადგილობრივი არმია აწარმოებს ოპერაციას ექსტრემისტების წინააღმდეგ დაახლოებით იმ რაიონებში, სადაც შეიძლება იმალებოდეს მთავარი ტერორისტი.

* * *



**პერუში ავტობუსი 100-მეტრიან ხრამში გადავარდა: 12 კაცი დაიღუპა, 27 დაჭრილია**

დაცემის შემდეგ ავტობუსი ორ ნაწილად გაიხლიჩა. მგზავრების მოწმობით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზი გახდა სისწრაფის გადაჭარბება. ყველა დაჭრილი ჰოსპიტალიზებულია, მათ უწევენ სათანადო დახმარებას.

## რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების იერარქები მართლმადიდებლურ ერთიანობაზე ლოცულობდნენ

**მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელი, ვოლოკოლამსკის არქიეპისკოპოსი ილარიონი, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქები საზღვარგარეთ და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა, ჟენევისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსის მიხაილის მოწვევით, ლოცულობდნენ ჟენევის ჯვართამაღლების ტაძარში შვეიცარიის შამბეზი IV-ში გახსნილი სრულიად მართლმადიდებლური თათბირის წარმატებისთვის.**

როგორც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საიტი იუწყება, შეკრების მიზანია „აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა და დიდი ტაძრის“ მომზადების პროცესის გაგრძელება. წინა სრულიად მართლმადიდებლური საეკლესიო თათბირები გაიმართა 1976, 1982 და 1986 წლებში. მორიგი თათბირის მოწვევის შესახებ 2009 წელს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენელთა სურვილის გათვალისწინებით.

თათბირი შამბეზში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მართლმადიდებლურ ცენტრში, ჟენევის მახლობლად, გაიხსნა 7 ივნისს და გაგრძელდება 13 ივნისამდე. განხილვის მთავარი თემაა „მართლმადიდებლური დიასპორის კანონიკური მოწესრიგება“.

ლოცვის დამთავრების შემდეგ ჟენევის ტაძარში არქიეპისკოპოსმა ილარიონმა აღნიშნა 2007 წელს გამართული თათბირის სულიერი და ისტორიული მნიშვნელობა, მიუთითა, რომ განიცდის კმაყოფილების გრძნობას ყოველთვის, როდესაც ეძლევა შესაძლებლობა, აღავლინოს ლოცვა რუსი მოსახლეობის საეკლესიო ცხოვრების ისტორიულ ცენტრებში.

როდესაც მიმართავდა საქართველოს საპატრიარქოს უცხოეთის განყოფილების თავმჯდომარეს მიტროპოლიტ გერასიმეს, არქიეპისკოპოსმა ილარიონმა განსაკუთრებით აღნიშნა რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების სულიერი ერთიანობა და ლოცვითი ურთიერთობა.

ქართველმა იერარქმა აღნიშნა, რომ საეკლესიო ურთიერთობანი დღეს მთავარი ფაქტორია რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისთვის და გამოთქვა იმედი ეკლესიათა ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ „ურღვევი ძმობისა და ნდობის სულისკვეთებით“.

კონსტანტინოპოლის, მოსკოვისა და საქართველოს საპატრიარქოების იერარქების გარდა შვეიცარიაში მიმდინარე მართლმადიდებლურ თათბირში მონაწილეობას ღებულობენ მაღალი რანგის დელეგაციები ალექსანდრიიდან, ანტიოქიიდან, იერუსალიმიდან, სერბეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, კვიპროსიდან, ელადიდან, ალბანეთიდან, პოლონეთიდან, აგრეთვე ჩეხეთისა და სლოვაკიის ეკლესიებიდან.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

◎ ადამიანი დროში

# უკან დარჩა საუკუნის სამი მეოთხედი...

## ვესაუბრებით ბატონ ნათან ბააზოვს

**— ბატონო ნათან, კ. ჩუკოვსკის მოგონებებში აღმოვაჩინე მისი საუბარი მამაშენთან — ლეგენდარულ გერცელ ბააზოვთან, რომელიც 30 წლისა უკვე ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის დრამატულ სექციას. შენი პაპის — დავითის სახელს ატარებს ქუჩა იერუსალიმის ცენტრში...**

— ყველა ჩემი წინაპარი მამაკაცების მხრიდან (ჩემი დიდი პაპიდან მენახემიდან — ცხინვალის რაბინიდან დაწყებული) ადრე მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან. მხოლოდ ორმა ჩემმა ბაბუამ იცოცხლა 60 წელზე მეტი. მე მეშინოდა ამ ზღვარის: ამ დღეებში კი დაიწერა: წასული წინაპარების ზრუნვაა ეს? ან იქნებ ცისა? მაგრამ მე მაინც ამაყი ვარ — უკან დარჩა საუკუნის სამი მეოთხედი...

**— ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება, მოგცე ერთი ეშმაკური არის სულის ძირითადი მდგომარეობის შეგრძნება, აზროვნებისა და სიცოცხლის სახე... მინდოდა გამეგო დეკორატიული ტრაბახის გარეშე მკაფიო პასუხი, ამავე დროს შენს შემოქმედებასთან კავშირში...**

— შეკითხვაში შენ მოგყავს ჩემი ციტატა. ასე რომ, პასუხი შენთვის ცნობილია. დავუმატებდი: მოსკოველმა ბარდმა იული ზისლინმა, რომელიც ემიგრაციაში წავიდა, ათი წლის წინათ შექმნა ვაშინგტონის რუსული პოეზიისა და მუსიკის მუზეუმი (მასში არის ჩემი წიგნებიც). 2007 წელს ის ჩამოვიდა საქართველოში რუსეთ-საქართველოს საერთაშორისო პოეტურ ფესტივალზე, რომელიც მოაწყო ნიკოლაი სვენტიცკიმ. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ზისლინი შეყოვნდა, რათა თბილისში ებრაელთა სახლში გაემართა კონცერტი. ბოლოს კი გამოაცხადა, რომ მოამზადა სიურპრიზი. პირველად მან შეასრულა სიმღერა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე, შემდეგ ჩემსავე სიტყვებზე „სიყვარულის წიგნიდან" (ამ წიგნშია შენი შესანიშნავი წინასიტყვაობაც), შემდეგ კი ჩემი ლექსის ტექსტზე, მისი დასაწყისი ასეთია: „მე თბილისში დავიბადე, თბილისში ვცხოვრობ..." ბოლო ოთხი სტრიქონი კი ასეთია: ეს ქალაქი მე მავსებს ცეცხლით, ავსებს იმედით ჩემს იალქნებს. მე ვმოღვაწეობ და ვოცნებობ მხოლოდ ერთ რამეს: უკანასკნელ წუთებში ვუმზერდე მის ზეცას...

**შეკითხვა: განვლილი წლების სიმაღლიდან როგორ მიგაჩნია პოეტის აზრი — წლები მკაცრ პროზას დავუმორჩილოთ?**

— არ ვემორჩილები. 1998 წელს გამოვეცი პროზის პატარა წიგნი, მას დიდი წარმატებები ჰქონდა. ზოგიერთ რაღაცას ვგეგმავ პროზაში, მაგრამ მე მაინც პოეტად ვრჩები.

**— როგორ აისახა შენს მრავალიარუსიან შემოქმედებაში (ფიზიკის ჩართვით) ის „ისტორიული დრო", რომელიც შენში შემოვიდა „უძრავი გაელვების" სახით და არ ემორჩილება „კორექციებს"?**

— 50 წელზე მეტია ფიზიკის ინსტიტუტში ვმუშაობ, რომელიც ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელს ატარებს. ეს არის ჩემი „ისტორიული დრო", ამ პიროვნებასთან ურთიერთობას შეუერთდა ჩემი მრავალწლიანი საქმიანობა (მისი მამა, გენიალური იურისტი — ასწავლიდა მამაჩემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). „უძრავი გაელვება"? ცხოვრება უმამოდ. კორექციისადმი დაუმორჩილებლობის უძრავი გაელვება ბევრი ყოფილა. შევჩერდები უკანასკნელ 20 წელიწადზე. რუსეთის ფედერაციის პატენტი ნეიტრონული გამოკვლევების ახალ მეთოდზე. მგზავრობა დასავლეთ ბერლინში (მანამდე არ მქონდა უცხოეთში მგზავრობის უფლება — დახურულ სამუშაოებთან ურთიერთობის გამო). დავიწყე მუშაობა ბიოენერგოინფორმატიკის დარგში — ასე ეწოდება ჩემს განყოფილებას საინჟინრო აკადემიაში. მასში ყოფნის სურვილი გამოთქვა ილია მეორემაც (ალბათ, მას მოეწონა ჩემი მოხსენება „თანამედროვე მეცნიერთა დასკვნით ღმერთი არსებობს"). სურვილი, დავამთავრო ახალი მონოგრაფია „სპინური ველები ფიზიკურ ვაკუუმში", რომლის დაწერაც მირჩიეს კოლეგებმა ა.იოფეს ინსტიტუტიდან — სიმპოზიუმებზე ჩემი მოხსენებების სერიების შემდეგ.

**— შენთვის — ძირძველი თბილისელისთვის — წამოჭრილა საკითხი „უცხო მხარეში" გადასვლის შესახებ, მაგრამ შენ მას საფუძველშივე თხრიდი. შენ აღიარებდი, რომ სახლი არის არა ადგილი ცხოვრებისთვის, არამედ ეს**



**— პასუხი მიღებულია. თბილისში სულ უფრო ცოტა რჩება ხალხი, რომელიც მხოლოდ ყურმოკვრით არ იცნობს მის ლიტერატურულ ცხოვრებას. მე დიდი ხანია გეხვეწები, დაწერო ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ შენ იცნობდი ბევრ ცნობილ პოეტს... მიამბე, თუნდაც მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ.**

— გაზეთში ეს არარეალურია. მაგრამ უკვე არსებობს მოგონებათა მომავალი წიგნის მონაკვეთები. მანამ კი ჩამოვთვლი ზოგიერთ გვარს. საქართველოს მწერალთა კავშირის თითქმის ყველა თავმჯდომარე (მწერალთა კავშირი ჩამოყალიბდა 1917 წლის ოქტომბერში) პოეტი იყო. აი, ვის ვთარგმნიდი და ვისთან ვმეგობრობდი: ა. მირცხულავა, ს.ჩიქოვანი, გ.ლეონიძე, ი. აბაშიძე, გ.აბაშიძე, ნ.დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე. ვთარგმნე მუხრან მაჭავარიანიც (მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა 1988-1992 წლებში). ამას წინათ, 13 აპრილს, მას შეუსრულდა 80 წელი. ვულოცავ დიდ პოეტს იუბილეს! საინტერესო იყო მისი თარგმნა და მასთან საუბრები. ყველა ამ პოეტის ლექსები შევიტანე „XX საუკუნის ქართველი პოეტების ანთოლოგიაში", რისთვისაც მივიღე საქართველოს სახელმწიფო პრემია. 2008 წლიდან მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობს მაყვალა გონაშვილი — მე დიდი ხანია ვთარგმნი მის ლირიკას. ურთიერთობა მქონდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" ყველა რედაქტორთან — კ.ლორთქიფანიძესთან, მ.მრევლიშვილთან, გ.ციციშვილთან, გ.ასათიანთან, თ.ბუაჩიძესთან, რ.მიმინოშვილთან. ყველა მათგანმა ჟურნალი მსოფლიოსთვის საცნობიერო გახადა. 1997 წელს რ.მიმინოშვილის უცნაური დაღუპვის შემდეგ „ლიტერატურნაია გრუზიამ" უმალვე დაკარგა თავისი სახე.

**— მწერალთა კავშირის თქვენი რუსული სექცია? ერთხელ ი.ბოგომოლოვმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემამდე ხელმძღვანელობდა რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, მითხრა, რომ შენ აგირჩიეს სექციის თავმჯდომარედ, იგი კი წავიდა ამ თანამდებობიდან.**

— მთლად ასე როდი იყო. როდესაც პარლამენტის დეპუტატი გახდა, მან ე.ელიგულაშვილს დაავალა სექციის ხელმძღვანელობა. მაგრამ იგი მალე გადავიდა ცოლთან ტალინში და ვ.ოსინსკიმ შესთავაზა, ავერჩიე თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე ვარ უკვე 12 წელზე მეტია. როდესაც მწერალთა კავშირში ყველა სექცია გააუქმეს, მ.გონაშვილმა შემომთავაზა, გადაგვერქმია მისთვის სახელი და გვეწოდებინა რუს ლიტერატორთა გაერთიანება.

**— თუ განიცდი, რომ მომწიფდი შემაჯამებელი წიგნისთვის?**

— მე გამოვეცი 22 წიგნი. შემაჯამებლად ჯერჯერობით შემიძლია მივიჩნიო ლირიკის უზარმაზარი წიგნი. ამ წიგნის ლექსების მხოლოდ მეოთხედი იყო დაბეჭდილი მანამდე.

**— შარშან შენ მიგიღეს რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციაში, სადაც მოგანიჭეს საპატიო წოდება „სიტყვიერების ოსტატი". რა სხვა ჯილდოები გაქვს ლიტერატურის დარგში სახელმწიფო პრემიის გარდა?**

— საქართველოს კომკავშირის პრემია, გ.ლეონიძის პრემია, ღირსების ორდენი ქართული პოეზიის მაღალმხატვრული თარგმნისა და მისი პოპულარიზაციისთვის. აი ეს არის სულ: ორი პრემია გაზეთ „კნიჟნოე ობოზრენიეს" სრულიად საკავშირო კონკურსისა. ეს ხომ არ არის თავის ქება?

**— სრულიადაც არა. ეს მეტად პოპულარული და სერიოზული გაზეთია. მე მას მრავალი წელია ვკითხულობ. გმადლობთ ინტერვიუსთვის. იმედი მაქვს, რომ წელს გამოჩნდება ჩემი დიდი ხნის ნაოცნებარი წიგნი — „საუბრები ნათან ბააზოვთან".**

**ნოდარ ფორაქიშვილი**

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 29 ივნისს 13:00 საათზე, წყალტუბოში, რუსთაველის №24 ში (წყალტუბოს ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შ.პ.ს. ,,სათბურის" ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ტრაქტორი "V-445" – შეფასებულია 325 ლარად;
2. ადმინისტრაციული შენობა – ორსართულიანი, აშენებულია აგურით – 476,2 კვ.მ. – შეფასებულია – 17000 ლარად;
3. სასადილო შენობა – ერთსართულიანი, აშენებულია აგურითა და ბლოკით – 447,4 კვ.მ. – შეფასებულია – 3000 ლარად;
4. სამეურნეო შენობა – 478,6 კვ.მ. – შეფასებულია – 4000 ლარად;
5. მატერიალურ-ტექნიკური საწყობი – ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკით – 113,5 კვ.მ. – შეფასებულია – 2500 ლარად;
6. ტარის სარემონტო შენობა – აშენებულია აგურით – 58,6 კვ.მ. – შეფასებულია – 2000 ლარად;
7. საქვაბე – 674,3 კვ.მ. – შეფასებულია – 2000 ლარად;
8. გასასვლელი ჯიხური – ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკით – 12,6 კვ.მ. – შეფასებულია – 300 ლარად;
9. ეზოს შემორაგვა – 155 გრძ.მ. – შეფასებულია – 3000 ლარად;
10. სათბური - ლითონის ნაგებობა – 10 სექცია – შეფასებულია – 50000 ლარად;
11. სათბური - ლითონის ნაგებობა – 10 სექცია – შეფასებულია – 15000 ლარად;
12. სათბური – ლითონის ნაგებობა – 1 სექცია – შეფასებულია – 6000 ლარად;
13. სათბური – ლითონის ნაგებობა – 1 სექცია – შეფასებულია – 2500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს **107625** (ასშვიდიათას ექვსასოცდახუთი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 30 ივნისს 15:00 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „აგირი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ცისტერნა ღვინის 16 ტ-ნი (14 ცალი) ემალირებული დაუზიანებელი– შეფასებულია 16800 ლარად;
2. ცისტერნა ღვინის 20 ტ-ნი (6 ცალი) ემალირებული დაუზიანებელი – შეფასებულია 8400 ლარად;
3. ცისტერნა ღვინის 25 ტ-ნი (1 ცალი) ემალირებული, დაუზიანებელი. შეფასებულია – 1800 ლარად;
4. ცისტერნა ღვინის 8 ტ-ნი (1 ცალი) ემალირებული, დაუზიანებელი, შეფასებულია 800 ლარად;
5. ყურძნის მიმღები – ყურძნის პირველადი გადამუშავების მოწყობილობა (ბუნკერი 3 ც., საჭყლეტი 3ც) ღვინის შესაგროვებელი ცისტერნა 2ც და ჭაჭის გამომტანი მოწყობილობა 1ც. დაუზიანებელი) შეფასებილია – 60000 ლარად;

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 87800 (ოთხმოცდაშვიდიათასრვაასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1

**წყალბურთი**

# 15 გუნდის მონაწილეობით

**საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, 15-19 ივნისს „ლაგუნა ვერეს" საცურაო აუზში ქვეყნის ახალგაზრდა წყალბურთელთა პირველობა გაიმართება სამ ასაკობრივ ჯგუფში. ამგვარი შეჯიბრება 20 წელიწადია, ჩვენთან არ გამართულა. თითოეულ ჯგუფში 5-5 გუნდი ითამაშებს.**

**მთავარი პრიზებისთვის იბრძოლებენ:**

**1991-1992 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი", „ივერია-1", „ივერია-2", „დელფინი" და „ლაგუნა ვერე".

**1993-1994 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი", „ივერია-1", „ივერია-2", „ლაგუნა ვერე" ასკ.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი-1", „ლიგამუსი-2", „ლიგამუსი-3", „ივერია", ასკ.



ჩემპიონები და პრიზიორები, ასევე, ტურნირის საუკეთესო წყალბურთელები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

გუშინ პირველობის დაწყებასთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა. მასპინძლის წარმომადგენლებს შეჯიბრებასთან დაკავშირებით საინტერესო ნიუანსები გააცნეს წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბითაძემ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ, წყალბურთის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ გულედანმა. მათი აზრით ასაკობრივ ჯგუფებში პირველობების ჩატარება საქართველოში წყალბურთის განვითარებას და ეროვნული ნაკრების ღირსეული ცვლის მომზადებას შეუწყობს ხელს.

**ლექსო ცინცაძე,**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

**კალათბურთი**

# დაკარგული შანსი



**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მეოთხე მატჩს ორლანდოს „ემ-სი სენთერმა" უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერზი" ფინალურ სერიას 2:1 იგებდა, ტიტულის შესანარჩუნებლად კი ოთხი გამარჯვება სჭირდება.**

„მეჯიქმა" დიდებულად დაიწყო შეხვედრა და პირველი ნახევრის შემდეგ სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა – 49:37. პარტნიორთაგან განსაკუთრებით ლიუისი, თურქოღლუ, პიეტრუსი და ჰოვარდი გამოირჩეოდნენ. ამ უკანასკნელმა პროფესიული კალათბურთის რეკორდი დაამყარა – 9 დაფარება. რაც შეეხება პიეტრუსს, მან მშვენივრად გაართვა თავი ბრაიანტის მეურვეობას, თუმცა კობი რისი კობი იქნებოდა, შესვენების შემდეგ მაინც რომ არ გახსნოდა მეორე სუნთქვა. დიახ, სწორედ მისი დამსახურებაა (32 ქულა) სტუმრებმა თანდათან რომ გამოასწორეს მდგომარეობა და საფინალო სასტვენამდე 4 წამით ადრე ფიშერის ზღაპრული სამქულიანით ანგარიში გაათანაბრეს – 87:87.



დამატებით დროში შეუჩერებელი გახდა კალიფორნიელთა ესპანელი ცენტრი გაზოლი, დაცვაში ოდომმა და არიზამ ივაჟკაცეს, ხოლო გადამწყვეტი სიტყვა ისევ ფიშერმა თქვა 91:91-ზე მან კიდევ ერთი სამქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ ბრძოლა 99:91 დასრულდა, საერთო ანგარიში კი 3:1 გახდა „ლეიკერზის" სასარგებლოდ.

**მეხუთე მატჩი ხვალაც ორლანდოში გაიმართება.**

**ჭადრაკი**

# ფინიშის სწორზე



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება. მეშვიდე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი დიდოსტატები ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი, რომლებსაც 5-5 ქულა ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ ხოტენაშვილი მე-5 ტურში ანა მუზიჩუკთან დამარცხდა, უკრაინელის წინსვლა კი ძაგნიძემ შეაჩერა.** ჩვენებურთა დუელი ბელას გამარჯვებით დამთავრდა და ერთპიროვნულად დაწინაურდა. ამავე ტურში ლელა ჯავახიშვილმა ქეთი წანგალაშვილს სძლია, ლილიტ გალოიანმა – ალა ვახანიას, სალომე მელიამ – ანა გავაშელს. დები მუზიჩუკები – ანა და მარია დაზავდნენ. ასევე, ყაიმით დასრულდა ნინო ხურციძისა და მაკა ფურცელაძის, ნინო ბაციაშვილისა და ინგა ჭარხალაშვილის პარტიები.

შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით ხოტენაშვილი ლიდერობდა. მას თითო ქულით ჩამორჩებოდნენ მუზიჩუკები, ძაგნიძე, ჯავახიშვილი, ფურცელაძე, ხურციძე, მელია, გალოიანი.

**თასის გათამაშება დღეს დამთავრდება.**

**გიორგი გაგუა**

**ინტერნეტიდან**

## უსახლკარონი ბრაზილიაში შეეჯიბრებიან

**თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ფეხბურთში უსახლკაროთა (ბომჟებსაც რომ ეძახიანძ მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება. მას უეფა უჭერს მხარს.**

**წლეულს, 6-13 სექტემბერს ჩემპიონატს მილანი უმასპინძლებს სემპონეს პარკში „არენა ჩილიკაზე".**

საგაისოდ კი რიო-დე-ჟანეირო შეირჩა. იქ 2010 წლის სექტემბერში ტურნირი საქვეყნოდ ცნობილ კოპაკაბანას პლაჟზე გაიმართება.

ტურნირის პრეზიდენტმა მელ იანგმა თქვა: „რიო იდეალური ადგილია 2010 წელს უსახლკაროთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ბრაზილიაში ფეხბურთს ხომ



აღმერთებენ. ბევრი ბრაზილიელი ვარსკვლავი კი სწორედ ქუჩის ფეხბურთიდან ამაღლდა მსოფლიო დონეზე".

რიო-დე-ჟანეირო შემდეგ ესტაფეტას გადასცემს პარიზს, შეჯიბრება ეიფელის კოშკთან გაიმართება. 2013 წელს კი უსახლკაროები ერთმანეთს პოლონეთის პოზნანში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ახლა ტურნირის ორგანიზატორები ეძებენ 2012 წელს ჩემპიონატის აზიაში ჩატარების შესაძლებლობებს.

## პლატინი პატიოსან თამაშს მოითხოვს



**ალბათ იცით, რომ ამ დღეებში ესპანეთის სამეფო კლუბმა „რეალმა" მსოფლიო ფეხბურთის ორი ვარსკვლავი შეიძინა – იტალიური „მილანიდან" – ბრაზილიელი კაკა და „ვალენსიიდან" – დავიდ ვილია. მათში კლუბის ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა 105 მილიონ ევრომდე გადაიხადა.**

ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" დათანხმდა „რეალში" თანამედროვე ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს გადასვლაზე. მასში სამეფო კლუბი დღემდე არნახული თანხის – 80 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებს.

„რეალის" ასეთმა გარიგებებმა გაანაწყენა ევროპის ფეხბურთის კავშირის (უეფაძ პრეზიდენტი მიშელ პლატინი. მას მიაჩნია, რომ „რეალი" ზედმეტს შვრება მაშინ, როცა მსოფლიო ჩაფლულია მძიმე ეკონომიკურ კრიზისში.

„მე დაბნეული ვარ. ფეხბურთი ხომ ახლა შეეჯახა ისტორიაში ყველაზე სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს, – აღნიშნა პლატინიმ, – ასეთი ტრანსფერები (კაკასა და რონალდუს ყიდვაძ ეწინააღმდეგება პატიოსანი თამაშის პრინციპებსა და ჩვენი შეჯიბრებების ფინანსური ბალანსის კონცეფციას".

როგორც „მანჩესტერ იუნაიტედი" აცხადებს, რონალდუს მომავლის საკითხი საბოლოოდ 30 ივნისისთვის გაირკვევა.

## პირველ შვილს ელიან

**„პლეიბოის" ვარსკვლავი კენდრა უილკისონი და მისი მომავალი მეუღლე, ამერიკული ფეხბურთის კლუბის „ფილადელფია იგლზ" მოთამაშე ხენკ ბასკეტი პირველ შვილს ელიან. ქორწილი კი 27 ივნისს უნდა გაიმართოს.**



ლამაზმანმა, ის ახლა თავის ტელეშოუს ქმნის, ჯერ კიდევ თებერვალში განაცხადა, რომ მათ უხარიათ, როცა უყურებენ, თუ როგორ თამაშობენ ბავშვები. და ისიც დაამატა, რომ ალბათ მალე მათაც ეყოლებათ პატარა. – აკი აუხდათ კიდეც.

თუ ბიჭი შეეძინებათ, მამის კვალის გასაგრძელებლად ხენკს დაარქმევენ. კენდრა ახლა „პლეიბოის" ბინაში ცხოვრობს. ქორწილი და საზეიმო მიღება „პლეიბოის" სახლში გაიმართება.

◉ სკოლა

# ზარი, რომელიც გზასულოცავს ქვეყნის მომავალს


სკოლის დირექტორი მაია გრიგოლია

**წლეულს მეოცედ დარეკა სასწავლო წლის ბოლო ზარი თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში და 63 კარგად მომზადებულ მეთორმეტეკლასელს დაულოცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზა. სწორედ ამ სასწავლებლის დაარსების მეოცე წლისთავს მიეძღვნა გუშინ სკოლაში გამართული საზეიმო შეხვედრა და კონცერტი.**

...ამ სასწავლო დაწესებულების ყოველ კუთხე-კუნჭულს ეტყობა მზრუნველი და ყურადღებიანი პატრონის ხელი. საოცარი წესრიგი, სისუფთავე, გემოვნება იგრძნობა ყველგან, რაც აქაური პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა, რომელსაც ეს ბოლო წლებია უნარიანად ხელმძღვანელობს ქალბატონი მაია გრიგოლია.

თავად ქალბატონ მაიას კი სკოლის დირექტორის ერთობ პასუხსაგები და შრომატევადი მოვალეობის ასე წარმატებით შესრულებაში, მისთვის ორგანულად დამახასიათებელ მრავალ პედაგოგიურ თუ პიროვნულ დადებით თვისებასთან ერთად, უთუოდ ისიც ძალიან უწყობს ხელს, რომ ვიდრე დირექტორთა კონკურსში უმაღლესი მაჩვენებლებით გაიმარჯვებდა, 12 წლის განმავლობაში ამავე სასწავლო დაწესებულებაში მასწავლებლობდა. ამდენად, მისთვის აქ ყველა და ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია.


მასწავლებელთა ერთი ჯგუფი

ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამით, უაღრესად დადებითად აისახება სკოლის პედაგოგთა შრომის უმთავრეს მიზანსა და შედეგში – იმგვარად აღზარდონ თავიანთი მოსწავლეები, იმგვარად შეუწყონ ხელი მათში დადებითი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, რომ ისინი ღირსეული მამულიშვილები გახდნენ.

...იქნებ სწორედ ამ სულისკვეთების ლამის ხელშესახებად წარმოჩენითაც იყო ასე ყოველმხრივ კარგი და ლამაზი გუშინდელი საზეიმო დღე თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში.

კვლავაც წარმატებები ყოფილიყოს იქაურ მოსწავლე-მასწავლებელთა თანამგზავრი!

**მურად ალაშვილი**
ავტორის ფოტო.

◉ პოეტის ერთი ლექსი

## გატეხილი უღელი

**დაღლილ თვალებში ჩამდგარი ცრემლი
არის მწვერვალი დიდი ტკივილის,
გზაჯვარედინზე მოთმენით მელის
გულის მგესლავი გველის წივილი.**

**ვუმზერ საფლავის დაღებულ ხახას,
ვრისხავ ცხოვრების არარაობას,
დაჭრილი ვეფხვის ნაბიჯით ვლახავ
საასპარეზოს – ქცეულს ჭაობად.**

**ვუმადლი მგზავრი სიმხნევეს მუხლის,
უნასთა ქოროს ძაღლივით ვუღრენ
და ვკრეფ ნამცეცებს გატეხილ უღლის
და წამლად ვაყრი სხვათა მთელ უღლებს.**

**მჭირისუფლობენ ნარჩევნი ერის,
დედაბოძივით მიდგანან გვერდით...
ვიღაც ცრემლიან სიმღერას მღერის,
ქვითინებს მიწის გახსნილი მკერდი!**

**გიორგი გიგაური**
2009 წლის 28 მაისი

**სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების**

**დღის წესრიგი:**

1. სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ 2008 წლის ფინანსური შედეგების შესახებ.

**კრება გაიმართება 2009 წლის 06 ივლისს 15 საათზე სათაო ბანკის ოფისში: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №74, საკონფერენციო დარბაზში, მე-6 სართულზე.**

ბანკის აქციონერებს საკუთარი უფლებამოსილების შემოწმება შეუძლიათ შპს „საქართველოს სარეგისტრაციო ბიუროში“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, მდებარე ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №74, მეათე სართული. კრების საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2009 წლის 05 ივნისი.

**სამეთვალყურეო საბჭო**

# განცხადება

შპს „თბილისის სააუქციონო სახლი“ (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71) მართავს პირველ იძულებით საჯარო აუქციონს ელენა დვალიშვილის (მცხ.: გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა) სახელზე რიცხული წილის უფლების რეალიზაციის მიზნით, შპს “ბიზნეს კონსულტანტ ჯორჯიას” ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აუქციონზე, კერძოდ, გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ა) საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა „აშშ-საქართველო-2004“-ში ელენა დვალიშვილის კუთვნილი წილი შემდეგ ბინაზე: თბილისში, ილია ჭავჭავაძის I ჩიხში, ბლოკ „ა“-ში მეორე სართულზე მდებარე 152 კვ.მ. № 13 საცხოვრებელი ბინა, აივანი 20კვ.მ., ავტოსადგომი 18 კვ.მ., სარდაფი 5 კვ.მ. იპოთეკის საგნის მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა – თბილისი 01, სექტორი ვაკე 14, კვარტალი 14, ნაკვეთი 05/020, კოდი – 03/13, დაზუსტებული ფართობი 1417კვ.მ. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საერთო საკუთრება, ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის წინა ნომერი 5, მესაკუთრე – ამხანაგობა „აშშ-საქართველო-2004“;

ბ) საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა „აშშ-საქართველო-2004“-ში ელენა დვალიშვილის კუთვნილი წილი შემდეგ ბინაზე: თბილისში, ილია ჭავჭავაძის I ჩიხში, ბლოკ „ა“-ში მეორე სართულზე მდებარე 154 კვ.მ. № 14 საცხოვრებელი ბინა, აივანი 13კვ.მ., ავტოსადგომი 18 კვ.მ., სარდაფი 5 კვ.მ. სარეგისტრაციო ზონა – თბილისი 01, სექტორი ვაკე 14, კვარტალი 14, ნაკვეთი 05/020, კოდი – 03/13, დაზუსტებული ფართობი 1417კვ.მ. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საერთო საკუთრება, ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, ნაკვეთის წინა ნომერი 5, მესაკუთრე – ამხანაგობა “აშშ-საქართველო-2004”.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4-}$ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირველ იძულებით აუქციონზე ელენა დვალიშვილის ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 990 022.5 (ცხრაას ოთხმოცდაათი ათას ოცდაორი მთელი ხუთი მეათედი) ლარს.

აუქციონი გაიმართება თბილისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 71, II სართული, 2009 წლის 22 ივნისს, 11 სთ-ზე. ტელ: 207 307.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1) საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10%-ზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას (გარანტიის **ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა“**);

2) აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3) მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება);

4) თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროება).

ყველა სხვა პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე, 2009 წლის 22 ივნისის 11 სთ-მდე.

აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა უძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხა) სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის სააუქციონო სახლის“ ანგარიშზე 10900938679, მომსახურე ბანკი: სს „ბანკ რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი.

**ოთარ ქვილითაია, ჯემალ მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, გურამ გაბუნია, ბორის სარალიძე, გურამ ბერიძე, ავთანდილ საყვარელიძე, შოთა ჭალაგანიძე, გივი გადელია, ირაკლი ჟორდანია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი, ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწე**

**დიმიტრი ქართველიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ მის საყვარელ ოჯახს.**

**ირაკლი ჟორდანია და ოთარ ქვილითაია იუწყებიან ბატონ**

**დიმიტრი (დიმაძ ქართველიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს უმძიმესი დანაკლისის გამო.**

**აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის მინისტრს განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში ბატონ მალხაზ ბარამიას დეიდაშვილის**

**რევაზ გერგედავას**

**გარდაცვალების გამო.**

**მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შპს „არბიტრაჟის“ თავმჯდომარე დიმიტრი ალექსიძე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლის და შპს „არბიტრაჟის“ დებულების თანახმად აქვეყნებს საარბიტრაჟო შეტყობინებას საარბიტრაჟო სხდომის შესახებ (პრეტენდენტი ივანე ბასილაძე, ანა მათიაშვილი – მოპასუხე მევლუდ მაჭავარიანიძ; დავის საგანი – სესხის ვალდებულებების შეუსრულებლობაძ, რომელიც დანიშნულია 2009 წლის 22 ივნისს 14 საათზე.**

**ეცნობოს მოპასუხე მევლუდ მაჭავარიანს, რომ საარბიტრაჟო პროცესზე გამოუცხადებლობისა და ახსნა-განმარტებების მიცემისაგან თავის არიდების შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ინფორმაცია

## სამართალდამცავებმა მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

**ქვემო ქართლის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის და სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა მკვლელობის ბრალდებით ზოია ალახვერდოვა დააკავეს.**

**შს სამინისტროს ინფორმაციით, ზოია ალახვერდოვამ პირველ ივნისს, ღამის ორ საათზე, ნაჯახით მოკლა როვშან ალახვერდოვი და საკუთარი ბინის სარდაფში, მიწაში ჩაფლა.**

**ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ მის მეუღლეს სექსუალური კავშირი ჰქონდა საკუთარ ქალიშვილთან და ეს მან გაიგო შვილის ფეხმძიმობის პერიოდში, რის შედეგადაც გადაწყვიტა მკვლელობა.**

**სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 108-ე მუხლით. ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი.**

ინტერპრესნიუსი

სულიერება

# პეტრეპავლობის მარხვა

**14 ივნისს პეტრეპავლობის მარხვა იწყება.**
**სულთმოფენობის მეორე შვიდეული ყოველთა წმიდათა კვირიკედ იწოდება. შემდეგი ორშაბათიდან კი წმიდა მოციქულთა მარხვა იწყება.**



ეს მარხვა მოციქულთა თავთა – პეტრეს და პავლეს ხსენებით გვირგვინდება, ამიტომაც სახელიც მათი ჰქვია – პეტრეპავლობის მარხვა.

ამ მრავალდღიან მარხვას ძველად „ერგასის შემდგომს" უწოდებდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც მოიხსენიებენ.

საეკლესიო გადმოცემით, იგი ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ.

**გიული ლიპარტია**

მხარე

# მომღერალი ოჯახების დებიუტი სცენაზე

**ხალხური სიმღერა ერის კულტურული საგანძურია. ის თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი მრავალსაუკუნოვანი სიცოცხლის საიდუმლოც სწორედ ამ ტრადიციის არსებობაშია. ამის დასტური იყო ამ დღეებში დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გამართული მომღერალი ოჯახების სადებიუტო საღამოც.**

გასული საუკუნის 60-იან წლებში ზემომაჩხაანელი გოგიშვილების საოჯახო ანსამბლით არა მარტო დედოფლისწყაროელები იყვნენ მოხიბლულნი, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მცხოვრებნი! ჰოდა, მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორის რამაზ კირვალიძისა და მთავარი სპეციალისტის, თეატრმცოდნის ცარო მარტიაშვილის თაოსნობით სცენაზე მომღერალი ოჯახების გამოჩენამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. დედები და შვილები ერთად ასრულებდნენ ხალხურ მელოდიებს. ოჯახური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მანანა ბოსტოლანაშვილი შვილებთან გიორგი და ოთარ სისაურებთან ერთად, ლელა ბილიაშვილი, ნათია ლატარიასთან. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხათუნა ჯალიაშვილის, მაია ზედელაშვილის და სხვათა ოჯახები.

მომღერალი ოჯახები კულტურისა და სპორტის პროფკავშირის რაიონული საბჭოს სიგელებით დააჯილდოვდნენ.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

ჯანმრთელობა

## როცა ამინდი იცვლება



**ბევრი ადამიანი მტკივნეულად განიცდის ამინდის ცვალებადობას, გამოირჩევა მეტეომგრძნობიარობით.**

**ასეთმა ადამიანებმა, რომ შეიმსუბუქონ თავიანთი მდგომარეობა ამინდის მკვეთრი „ნახტომების" დროს, უნდა დაიცვან რიგი პროფილაქტიკური ზომები.**

საერთო თვითშეგრძნების გასაუმჯობესებლად უნდა მიიღონ E ვიტამინი, დღეში 2-3 კაფსულა. არაკეთილსასურველ დღეებში გაძლომა, შეიძლება, გახდეს გულის შეტევის საწყისი ფაქტორი.

თუ ჰიპერტონიკი ხართ, უარი თქვით ტკბილ სასმელებზე – ისინი წნევას ამაღლებენ. წყურვილი მოიკალით ლიმონით შემჟავებული ჩვეულებრივი წყლით, ან ბურახითა და ნატრიუმისა და მაგნიუმის მარილებით მდიდარი მინერალური წყლით. უმჯობესია, დაივიწყოთ ალკოჰოლური სასმელები, ვინაიდან ისინი ზრდიან გულის დატვირთვას, რომელიც მეტეოცვალებადობისას ისედაც გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს. ღამით დალიეთ პიტნის ნაყენი. ის კეთილად მოქმედებს ნერვულ სისტემასა და სისხლძარღვებზე.

შეამცირეთ ტკბილეულის რაოდენობა, შეზღუდეთ მსუქანი, შემწვარი და ცხარე საჭმელი, ხორცი შეცვალეთ თევზით. ამ დღეებში უპირატესობა მიანიჭეთ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა ლობიო, ბარდა, წიწიბურის ფაფა, კეფირი, მაწონი, გაუცხიმოვნებელი იოგურტი, კენკროვანები და ხილი (ვაშლი, ჭერმის ჩირი, ბანანი, ქიშმიში), ბოსტნეული (განსაკუთრებით კომბოსტო, სტაფილო, ხახვი).



მეტეომგრძნობიარე ადამიანებისთვის ისინი შეიცავენ ძალზე აუცილებელ მიკროელემენტებს: კალიუმს, მაგნიუმს, სპილენძს, იოდს. ამცირებენ ფსიქიკაზე ადრენალინის ზემოქმედებას. ამას გარდა, აუცილებლად ყოველდღე უნდა ჭამოთ რამდენიმე ლუკმა მაინც ნამდვილი ჭვავის პური, B ჯგუფის ბევრ ვიტამინს რომ შეიცავს. მეტეოარასასურველ დღეებში ნუ გადაიღლებით, ეცადეთ, აიცდინოთ სტრესები და დაიცვათ ძილის გრაფიკი. ბიორიტმებდარღვეული ადამიანი გაცილებით მწვავედ აღიქვამს ამინდის ცვალებადობას.

## ბავშვი კარგად რომ გაირუჯოს

**დადგა ზაფხული, მშობლები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაიყვანონ ბავშვები ქალაქიდან, რათა დაისვენონ სუფთა ჰაერზე, გაირუჯონ. თუმცა გარუჯვის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.**

**რათა ბავშვები ზომიერად გაირუჯონ, ზოგიერთი წესის დაცვა აუცილებელია.**

● ჯერ ერთი, გარუჯვისთვის აუცილებელი განსაკუთრებული პიგმენტი – მელანინი ჩრდილშიც გამოიყოფა.

● გარუჯვა საჭიროა გაფანტული სხივების ქვეშ – საჩრდილობლების, პლაჟის სოკურების, ხეების ჩრდილში. ასე კანი არასოდეს დაიწვება.

● მზეზე ყოფნა შეიძლება მხოლოდ დილით და მზის ჩასვლის დროს, როცა სხივები პირდაპირ არ ეცემა.

პლაჟზე აუცილებლად წაიღეთ კრემი, რომელიც კანს



ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისგან დაიცავს. კრემი აუცილებლად აფიაქში იყიდეთ, დაცვის უმაღლესხარისხიანი, ბავშვებისთვის არანაკლებ 60-ისა. რაც უფრო ღია კანია, იმდენად დაცვის მაღალი ინდექსია საჭირო.

არ დაგვავიწყდეს, რომ ბავშვის ორგანიზმზე მზის სხივების ზემოქმედებით გამოიყოფა ვ ვიტამინი, ძვლების სიმაგრისთვის რომაა აუცილებელი. მზის სხივები ამაღლებენ ბავშვის იმუნიტეტს. მზის სხივებს მოკლებული ბავშვები კი ხშირად ცივდებიან.

მზის სხივს სადეზინფექციო თვისებაც აქვს, სინათლეზე უკეთ ხორცდება ჭრილობები.

მზის სხივები კარგი ანტიდეპრესანტია, ის განწყობას ახალისებს.

## მკურნალი ბოლოკი

**როგორც მედიკოსები ამტკიცებენ, ბოლოკი გამოირჩევა ვიტამინების სიუხვით. მასში ბევრია ასკორბინი, თანაც ბოლოკი რაც უფრო წითელია, იმდენად მდიდარია ს ვიტამინით, არის აგრეთვე B ჯგუფის ვიტამინებიც, ურომლისოდაც სიქაჩლე მოგველის, არის რკინაც, ჩვენს სახეს კარგ ფერს და სიხალისეს რომ მატებს, და კალიუმიც, სისხლძარღვთა კედლებს რომ ამაგრებს.**

უჯრედების სიმრავლით ბოლოკი აქვეითებს სისხლში მავნე ქოლესტერინს, ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსინები.

ბოლოკში არის ნივთიერებები, რომლებიც ასტიმულირებს შაქრის დონეს სისხლში.

ბოლოკშია განსაკუთრებული ნივთიერებები – ფიტონციდები, თავისებური ნატურალური ანტიბიოტიკები. ამიტომაც ბოლოკის მოყვარულებს გაციების და ანთებით დაავადებების აცილების კარგი შანსი აქვთ.



ძალზე სასარგებლოა ბოლოკის ფოჩებიც, მასშიც ცოტა როდია ვიტამინები და მიკროელემენტები.

თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლოკით გატაცება არ შეიძლება, თუ კუჭი ან ნაწლავები გტკივათ. მან, შეიძლება, სატკივარი გაგიმწვავოთ. ისე რომ, ბოლოკი კვირაში მხოლოდ ერთხელ ჭამეთ.

**აი, ზოგიერთი რეცეპტი ხალხური მედიცინიდან:**

● ქორფა ბოლოკის ფაფა კომპრესის სახით დაგეხმარებათ რადიკულიტის დროს.

● თავის ტკივილის დროს სცადეთ შუბლის, საფეთქლისა და ცხვირის ფუძის ქორფა ბოლოკის წვენით შეზელვა.

● კუჭშეკრულობის დროს კარგი საშუალებაა ბოლოკის ფოჩების ნაყენი. ერთი სუფრის კოვზ ბოლოკის ფოჩს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ერთ საათს და დალიეთ დღეში სამჯერ ჭამიდან 20 წუთის შემდეგ 2-3 დღის განმავლობაში.

**უცხოური პრესის მიხედვით**

ანეკდოტები

**ერთი სამუშაო ადგილიდან მეორემდე სულ რაღაც 4-5 სანტიმეტრია, მაგრამ სპეციალისტს გინეკოლოგის ნაცვლად უკვე პროქტოლოგი ჰქვია!**

* * *

– აქამდე თუ მიგიციათ ჩვენება ფიცქვეშ? – ეკითხება მოსამართლე მოწმეს.

– მიმიცია, მაგრამ იმ ჩვენებისთვის უკვე ვიჯექი...

* * *

ავტობუსში ლამაზი გოგონას გვერდით მთვრალი ტიპი ზის. მთვრალი ხმაურიანად აფუჭებს ჰაერს, რითაც მგზავრთა ყურადღებას იპყრობს. ამის შემყურე მთვრალი გოგოს მიუბრუნდება და ხმამაღლა ეუბნება:

– გოგონი, ყველაფერი მე დამაბრალე, მაინც მთვრალი ვარ და...

* * *

– ექიმო, ყოველ ღამე ერთი რამ მესიზმრება: მივადგები ხოლმე წარწერიან კარებს, ვაწვები და ვეჯაჯგურები, მაგრამ ველარ ვაღებ.



– იმ კარზე რა აწერია?

– „თქვენკენ გამოაღეთ".

* * *

კბილის ექიმმა ბორმანქანა აამუშავა, კლიენტს პირი გააღებინა და ეუბნება:

– გახსოვს, მიხო, სკოლაში ჩემ უკან რომ იჯექი და სულ ქინძისთავით მჩხვლეტდი?

* * *

მოხუცმა კაცმა ახალგაზრდა გოგო შეირთო. ერთი წლის შემდეგ ცოლი მოსალოგინებლად მიიყვანა სამშობიაროში.

– ვა, ბაბუ, რა მაგარი ხართ! – ეუბნება გაკვირვებული ექიმი.

– აბა როგორ, ძრავა მუდამ უნდა გემუშავებოდეს! – ამაყად ამბობს მოხუცი.

ერთი წლის შემდეგ ისევ მიჰყავს ცოლი სამშობიაროში.

– ეს უკვე მართლაც გასაკვირია, ბაბუ! – ხელებს შლის ექიმი.

– ძრავა უნდა გემუშავებოდეს! – ისევ სიამაყით ამბობს მოხუცი.

ერთი წლის შემდეგ ცოლი კვლავაც მშობიარობს. ექიმი ეუბნება მოხუცს:

– ბაბუ, ძრავაში ზეთი გამოცვალე? – შავკანიანი დაიბადა!!!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.